№ 100

1877—1905

№ 100

ოთხშაბათი, 15 ივნისი

ოთხშაბათი, 15 ივნისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივნისიდან წლის დამლევამდის 5 მ. 50 კ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ Редакція газ. „Иверія“.

თვალის ავადმყოფობანი

ხარკოვის უნივერსიტეტის ორდინატორი, თვალის ავადმყოფობათა ექიმი

ა. ვ. გორზოვსკი-ზარანეკი

ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე, დილით 10—12 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე.

გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობრჟანსკისა, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (3—2)

ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი სექცია ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დღეს, 15 ივნისს, საღამოს 5 საათზე, ავჭალის აუდიტორიაში

დანიშნულია კრება

სექციის წლიურის ანგარიშის განსახილველად. ამავე კრებაზე ამორჩეულ იქმნებიან ახალი წევრებიც. (1—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 [illegible] ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნვით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
ифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 1) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

უმთავრესი ჩაფუჩიდა

სწორედ ერთი კვირა გაგრძელდა თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელზედაც მრავალმა წვრილმა და მსხვილმა ინცინდენტმა იჩინა თავი, მაგრამ გარეშე კაცს ყველაზე უფრო ერთი მეტად უცნაური მოვლენა აკვირვებდა.

კრების წევრთა ერთის ჯგუფის წარმომადგენელნი ისე სიტყვას არ დააბოლოვებდნენ, რომ „სოფლიდან განდევნილ საბრალო თავად-აზნაურებზე და გლეხკაცობის ვერაგობასა და ძალმომრეობაზე“ არ დაეწყოთ კვნესა-გოდება... ამგვარ ლათაიებით არა მარტო სოფლელები ართობდნენ კრებას, არამედ სწავლა-ცოდნით მოსილი ჩინოვანი მოხელე ინტელიგენტებიც... ერთის ორატორის სიტყვებიდან ისიც კი გამოვიდა, რომ „ჩვენი გლეხკაცობისთანა ბედნიერი და უზრუნველყოფილი სხვაგან არსად არ არისო“...

სწორედ გლეხკაცობის, ვითომდა, ძალმომრეობით უნდა აეხსნათ და გაემართლებინათ ის ყოვლად უცნაური თხოვნა, რომელსაც სამეურნეო თანხიდან ქართლის თავად-აზნაურთა ერთის ჯგუფისათვის 20,000 მან. უნდა გამოეცინცლა...

ვინ ამბობს, თავად-აზნაურობა, მეტადრე წვრილი მემამულენი გაჭირვებულს მდგომარეობაში იმყოფებიან, მაგრამ ეს უბედურება დღეს და გუშინ არ წარმომდგარა,—ეს წინადვე აგრე იყო. მიწის სიმცირე, მეურნეობის ძველი წესები, უცოდინარობა, უბაზრობა და სხვა ბევრი ეკონომიურის ხასიათის მიზეზები, დიდი ხანია, აბეჩავებს ქართველ წვრილ მემამულეს. მაგრამ, შედარებით მაინც, გლეხკაცობა ერთი ათადაც და ასათაც უფრო გაჭირვებულია და ათასში ერთხელ თუ სიმშილით გაბოროტებულმა ძალა იხმარა რომელისამე მსხვილ მემამულის წინააღმდეგ, ეს ტიპიური მოვლენა არ არის და მიტომ ზოგიერთთა გმინვა-გოდება გლეხთა ვერაგობაზე, სხვა არა იყოს-რა, გადაჭარბებულია...

ჩვენ სწორედ გაოცებული ვიყავით, როცა ყოველსავე ამას ვისმენდით და იმავე დროს არავის აზრად არ მოსდიოდა, რაიმე ღონე ეღონათ აწინდელ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, რაიმე უფრო ჭეშმარიტისა და მკვიდრის საშუალებისათვის მიემართნათ, ვიდრე 20,000 მან. თხოვნა რაღაც პრობლემატიურ კეთილშობილთა არტელის შესადგენად.

ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭიროა დაუყოვნებლივ შეიკრიბნენ ინტელიგენციისა, მწერლობისა, თავად-აზნაურთა და გლეხკაცობის წარმომადგენელნი და განიხილონ სოფლის დღევანდელი ცხოვრება და მისი უკულმართობა, გამოიკვლიონ და გამოსძებნონ რაიმე მკვიდრი საშუალება გამწვავებულ მდგომარეობის მოსაწესრიგებლად.

თორემ უამისოდ ყოველივე თხოვნები, სუბსიდიები და მსგავსი პალიატიური ღონისძიებანი არას უშველის ჩვენს ცხოვრებას...

ტასიაშვილი.

ამომრჩევლები და დეპუტატი

უსრულესი დემოკრატიული სახელმწიფო ის არის, სადაც ხალხი დამოუკიდებლად ახორციელებს თავის უფლებას, სადაც ყოველი მოქალაქე პირდაპირ მონაწილეობს მართვა-გამგეობაში. წარსულმა დრომ იცის ასეთი მაგალითები სახალხო გამგეობისა. ათინის დემოკრატია თავის საზოგადო ყრილობებზე დამოუკიდებლად არჩევდა სახელმწიფო საქმეს. დღეს ასეთი წესი არსად არ არსებობს. მართვა-გამგეობის სირთულემ, თანამედროვე სახელმწიფოთა სიდიდემ და მცხოვრებთა სიმრავლემ ისეთი მდგომარეობა შექმნეს, რომ რომელსამე სახელმწიფოს ყველა მოქალაქეთა ერთ კრებად თავის მოყრა და სახელმწიფო საქმეების განხილვა შეუძლებელი შეიქმნა. ამიტომ რაც უნდა დემოკრატიული იყოს რეჟიმი, რაც უნდა ფართო უფლებები ქონდეს მინიჭებული მოქალაქეს, მაინც იძულებული ვიქნებით წარმომადგენლობა შემოვიღოთ, ესე იგი, რამდენმამე მოქალაქემ თავისი უფლების განხორციელება დროებით უნდა მიანდოს ერთ პირს, ერთს თავის წარმომადგენელს, დეპუტატს.

აქედან ცხადია, რაც უფრო მცირე ჯგუფი ირჩევს ერთ წარმომადგენელს, მით წარმომადგენლობა უფრო დემოკრატიულია, იმდენად ის უფრო უახლოვდება მთელი ხალხის-მიერ მის უფლებათა დამოუკიდებელ განხორციელებას. რამდენადაც არ უნდა შევამციროთ თითო დეპუტატის ამრჩეველთა რიცხვი, წარმომადგენლობა მაინც წარმომადგენლობადა რჩება და მისი ნაკლი, როგორც არა პირდაპირ დემოკრატიულ დაწესებულებისა, გაუსწორებელია.

მხოლოდ ერთი საშუალება, რომლის შემწეობით წარმომადგენლობითი სისტემა პირდაპირ დემოკრატიულ გამგებლობას უახლოვდება. ეს საშუალება, რამდენადაც კი მოსახერხებელია, ხალხს პირდაპირ აძლევს კანონმდებლობაში დამოუკიდებელ მონაწილეობის მიღების შეძლებას. ესაა რეფერენდუმი.

საზოგადოდ რომ განვსაზღვროთ, რეფერენდუმი არის ამა თუ იმ კანონ-პროექტის მისაღებად ხალხის-მიერ კენჭის ყრა. თუ ხალხის უმეტესობა მიიღებს,—კანონ-პროექტი კანონად იქცევა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უარყოფილია. რეფერენდუმი ჯერ კიდევ ახალი საქმეა, შემოღებულია შვეიცარიასა და ჩრდილო-ამერიკის რესპუბლიკის ზოგიერთ შტატებში და დიდი მერმისიც მოელის. მაგრამ მაინც იგი ვერ შესძლებს წარმომადგენლობითის სისტემის მაგიერობას. იგი მხოლოდ დამატებაა წარმომადგენლობითის სისტემისა.

აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ ერთ მხარეს წარმომადგენლობისას. ჩვენ გამოვარკვევთ, თუ რა კავშირია ამომრჩევლებსა და დეპუტატს შორის.

სახელმწიფო თავის მოქალაქეთა ინტერესების მხრივ ერთგვარობას არ წარმოადგენს. აქ არსებობს ჯგუფები, რომელთა ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. და რამდენადაც წარმომადგენლობა დემოკრატიულადაა მოწყობილი, იმდენად ის სისწორით გამოხატავს იმ ძალთა წინააღმდეგობას, რომელიც თვით სახელმწიფოშია. ინტერესების წინააღმდეგობა ხალხის წარმომადგენლობაში ბადებს წინააღმდეგობას მოქმედებაშიაც. ერთი ცდილობს არსებული წყობი[illegible] ძველი დაანგრიოს და მის მაგიერ ახალი წყობილება შექმნას; ერთი ამა თუ იმ კანონს იცავს, მეორე პირდაპირ მისი წინააღმდეგია. აქედან ჩანს, რომ ამომრჩევლები გულგრილად ვერ უყურებენ მათ-მიერ გაგზავნილ დეპუტატებს, ამომრჩევლები პირდაპირ დაინტერესებულნი არიან მათი დეპუტატი—მათი ინტერესების დამცველი გახდეს. საზოგადო მიმართულების გამორკვევაში აქ დიდ დახმარებას უწევს პარტიული დანაწილება. როცა ამომრჩეველმა იცის, რომ ესა თუ ის პირი კონსერვატორია, ლიბერალია, სოციალისტია, მაშინ შეუძლიან საზოგადო მისი ფიზიონომია გამოარკვიოს და წინდაწინვე წარმოიდგინოს მისი მოქმედების ხასიათი. მაგრამ, გარდა ამისა, ყოველ მხარეს, ყოველ ადგილს თავისი კერძო ინტერესებიცა აქვს, რომლის გარშემო ამ კუთხის ამომრჩევლები იბრძვიან. ამიტომ ამორჩეული რომ მართლა ამომრჩეველთა უმრავლესობის ინტერესების დამცველი გამოდგეს, ყოველ არჩევანს წინ მიუძღვის რთული საარჩევნო აგიტაცია. ამოსარჩევი პირი სახალხო მიტინგებზე ვრცლად აცნობს ამომრჩევლებს, როგორც თავის საზოგადო ფიზიონომიას, ისე კერძო, ადგილობრივ, საკითხებზე თავის აზრსა და შეხედულობას. ამნაირად, ამომრჩევლებსა და დეპუტატს შორის მკვიდრდება დამოკიდებულება.

დეპუტატობა მას ავალებს, იმოქმედოს არა დამოუკიდებლად, არა ისე, როგორც მისი პირადი შეხედულება გასჭრის, არამედ ისე, როგორც სურთ და როგორც საჭიროდ მიაჩნიათ მის ამომრჩევლებს. მაგრამ საკმარისი არაა, დეპუტატი თანახმა იყოს თავისი ამომრჩევლებისა მარტო არჩევის დროს. პარლამენტს ჩვეულებრივად ირჩევენ რამდენსამე წლით: სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ხანგრძლივობაა შემოღებული—სამი წლიდან შვიდ წლამდე. ამ დროს განმავლობაში დეპუტატს შეუძლიან შეიცვალოს ის აზრი, რომელიც მას ჰქონდა არჩევნების დროს, ან შეიძლება არ გაამართლოს ამომრჩევლების იმედი. მაშინ ხომ ახალ საზოგადო არჩევნებამდე ამომრჩევლები უწარმომადგენლოდ რჩებიან; მაშინ ხომ დეპუტატი ამომრჩეველთა წინააღმდეგ მიდის და არ ამართლებს თავის მინდობილობას. აქაც პრაქტიკამ თავისი საშუალება აღმოაჩინა. მაგალითად, ინგლისში ჩვეულებათაა გადაქცეული, რომ დეპუტატი საპარლამენტო ვაკაციების,—დასვენების,—დროს უსათუოდ წარსდგება ხოლმე თავის ამომრჩევლების წინაშე, წარმოსთქვამს სიტყვას, რომლითაც ამომრჩევლებს პარლამენტის მოქმედებას აცნობს, და აგრეთვე აღნიშნავს თავის მონაწილეობას ამ მოქმედებაში. ამნაირად ის ანგარიშს აძლევს ხალხს, და, თუ ამომრჩევლებმა მას საყვედური უთხრეს, უნდობლობა გამოუცხადეს, იგი ვალდებული ხდება დეპუტატობაზე უარი განაცხადოს.

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ არჩევა მარტო ნდობას კი არ ნიშნავს, არამედ იგი დავალებაცაა. ამომრჩევლები თავის დეპუტატს ავალებენ: ასე და ასე მოიქეცი და იმოქმედეო. ამით იზღუდება დეპუტატის თავის ნებაზე მოქმედება, იზღუდება მისი დამოუკიდებელი მუშაობა, იგი ხდება ამომრჩევლების ნების აღმასრულებლად, იგი კოლექტიურ ნების განმახორციელებელი, კოლექტიური ნების წარმომადგენელია. ამით თვით პარლამენტის ხასიათიც იცვლება. აქ იბრძვიან არა ცალკე პიროვნებანი, არამედ მთელის სახელმწიფოს ნაწილები თავის წარმომადგენლების, დეპუტატების სახით.

და რამდენადაც დრო მიდის, რამდენადაც პარლამენტი თავის ევოლუციაში დემოკრატიულ ხასიათს იძენს, იმდენად დეპუტატების კერძო აზრი შეუძლებელი ხდება, იმდენად დეპუტატები ახორციელებენ ამომრჩეველთა ნებას, მათ დავალებას.

აუცილებელი

რუსეთის ბიუროკრატიას დიდი განსაცდელი დაადგა თავზე: ცხოვრება გადაჭრით ითხოვს მისგან გადადგომას, ჩამოშორებას, და იგი ამ მოთხოვნას თავის ნებით არ ასრულებს, არ უნდა წასვლა.

ვის შეუძლია თავისი თავის უარის-ყოფა? ვის შეუძლია თავის ბატონობაზე ხელის-აღება, როდესაც ფიქრობს, რომ, აი, საკმარისია ხელის გაქნევა და—მოისპობა საერთო პროტესტი?

მაგრამ, ამასთან ერთად, არ უნდა დაივიწყოს ადამიანმა, რომ ის ხალხი, რომელიც გუშინ ბავშვი ეგონა ყველას, რომელსაც ტკბილ დაპირებებით აძინებდნენ ყოველთვის, ახლა უცებ დაასაკდა, წამოიზარდა და ამ ტკბილ დაპირებებზე მხოლოდ იცინის მწარედ. ხალხმა შეიგნო ბიუროკრატიის ნამოქმედარი, თავის თავზე იგრძნო ამ ნამოქმედარის საშინელი შედეგი,—და ამიტომ მრისხანედ შესძახა ბიუროკრატიას: „ჩამომეცალე!“

ამნაირი მდგომარეობა ბიუროკრატიისათვის აუტანელი შეიქმნა, უნდოდა თავის დაღწევა, მაგრამ ვერ მოახერხა, აღარ შესწევს გამბედაობა, [illegible] ხალხის ახალმა ძალებმა არარად აქციეს ბიუროკრატია.

საიდან გაჩნდა ასეთი ძალა? სად იყო უწინ?—ამას ფიქრობდა ბიუროკრატია და თავისთვის ანგარიში ვერასგზით ვერ მიეცა.

ახალი ძალები აშინებდნენ მობერებულ, დაჩაჩანაკებულ ბიუროკრატიას, აშინებდა განახლების ხსენებაც.

სხვა რაზედმე უნდა ვიქონიო ხალხის ყურადღებაო,—იფიქრა ბიუროკრატიამ,—და დაიწყო ომი, საშინელი ომი იაპონიასთან.

მაგრამ ამ ფანდმა თვით ბიუროკრატია დაჰღუპა. წინად, სანამ მხოლოდ შინაური მღელვარება მოსჩანდა, კიდევ შეიძლებოდა მისი გადაფუჩეჩება, დამალვა და ჩაჩუმება. მაგრამ ახლა, ომიანობის დროს, ბიუროკატიას გზა-კვალი ებნა და უგზო-უკვლოდ გაჰქანდა... საით?—თვითონაც არ იცოდა გარკვევით.

ომში ზედიზედ დამარცხდა ბიუროკრატიის მიერ შექმნილი ჯარი. ხალხი აღელდა... თანდათან რაღაც საიდუმლო საქმეებიც აღმოჩნდა: ბეზობრაზოვის კონცესიები, ფულის გაფლანგვა... მუშათა ძლიერმა მოძრაობამ, რომელსაც პლევე ძალმომრეობით აჩერებდა რუსეთში, ახლა აშკარად იჩინა თავი და ძლიერი რუსეთიც ამხედრდა. სოფლად ძლიერი აგრარული მოძრაობა გავრცელდა. ყველგან ხოცვა-ჟლეტა დაიწყო... ყუმბარების გასროლა...

რა უნდა ექმნა ბიუროკრატიას? წინად ყოველთვის საკანცელარიო მიწერ-მოწერას ჩვეულმა ბიუროკრატიამ აქ ვერაფერი ვეღარ მოიფიქრა... ისევე ძველ საშუალებას მიმართა: კაზაკებს, მათრახს, მაგრამ ამ საშუალებამ ახლა მხოლოდ ახალი სიძულვილი გამოიწვია, მეტად ააღელვა ისედაც აღელვებული ხალხი. მათრახის საპასუხოდ სროლა მოისმა, ჯერ აქა-იქ, მოწყვეტილად, თუმცა, ვინ იცის, დღეს თუ ხვალ, ეს სროლა, შეიძლება, საყოველთაო შეიქმნეს რუსეთში—ცის კიდურზე გამოჩნდა რევოლუციის პირველი სხივი.

ბიუროკრატიამ ბატონობა ვერ მოახერხა. ის, რასაც პლევეს დროს ვერც მოიფიქრებდა ვერავინ, ახლა ყოველ-დღე აშკარად ხდება: ხალხი იკრიბება, თამამად აცხადებს პროტესტს და ბიუროკრატიაც ძალა-უნებურად ითმენს ამას და სასოწარკვეთილებით იხსენიებს წარსულ „ნეტარხსენებულს“ დროებას.

თვით პრესსამ, რომელიც პირველ შეხედვით ასეთი ადვილი ასალაგმავია, თამამად დაუწყო ბრძოლა ბიუროკრატიას. ცენზორის ხელი შესუსტდა, გაზეთებში ბიუროკრატიის გაკიცხვა შესაძლო შეიქმნა. მოძველებული წყობილება ირღვევა თანდათან, თვალი უბნელდება, სიბნელეში თავის თავსაც სცემს, და ახლოა ის ჟამი, როდესაც იგი შეიქმნება იძულებული ახალ განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუთმოს ადგილი (რ. ს.).

ალ. რობსოვი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ივნისი.

ლოძი, 13 ივნისი. ქალაქ ლოძსა და მის მიდამოებში სამხედრო წესები გამოცხადდა.

კოპენჰაგენი, 13 ივნისი. დრაგერის მახლობლად დანიის სამოსწავლო გემი დაეჯახა ინგლისის გემს და იმ წამსვე ჩაიძირა. დაიღუპა 22 მოსწავლე.

ბარცელონა. ინგლისის ესკადრას ბარცელონაში 18 ივნისისათვის მოელიან.

პეკინი, 12 ივნისი. ჩინეთში მყოფი რუსეთის ელჩი პოკოტილოვი ურკუში მივიდა და დაუყოვნებლივ დილა-ღამე ინახულა, რომელსაც ხელმწიფისაგან საჩუქრები გადასცა.

ატკარსკი, 13 ივნისი. პეტროვსკისა და სერდობსკის მაზრებში აგრარული მოძრაობა დაიწყო.

გენუია. რუსეთის საკონსულოს წინ რამდენიმე ასმა კაცმა დემონსტრაცია მოახდინა. გაისმოდა მტრული ხმები. პოლიციამ დემონსტრანტები გაჰფანტა. ბევრი დააპატიმრეს.

მოსკოვი, 13 ივნისი. სხვადასხვა სამრეწველო რაიონების წარმომადგენლებმა დეპეშით სთხოვეს ფინანსთა მინისტრს: რეფორმების შემოღების დროს მრეწველობის წარმომადგენელნიც არ დაივიწყოთო — ქალაქის მოურავმა კერძო კაცისაგან წინადადება მიიღო: რუსეთის ხალხის პირველ წარმომადგენლობის სახსოვრად ხელის მოწერა გამართეთ ფლოტის ასაგებად რვაას მილიონის შესაკრებადაო. განზრახულია თითოეულ მცხოვრებმა შესწიროს ხუთი მანათი, ხოლო მდიდრები კი თავისს სინდისზე მიაგდონ.

ლოძი, 13 ივნისი. სამხედრო წესის წარმოება ლოძში დაევალა პირველ საკავალერიო კორპუსის უფროს გენერალს შუტლევორტს. მსხვერპლთა რიცხვი ოფიციალურად გამორკვეული არ არის. ქალაქში მშვიდობიანობაა.

ხარკოვი. სუმისა და ლებედინის მაზრებში უწესოების ჩამდენებმა ზოგიერთ ადგილას ძალმომრეობას მიჰმართეს. ლებედინის მაზრაში ორ ადგილას [illegible]

ლიბავა, 13 ივნისი. ქალაქის მუაწინდში ბომბა გადაისროლეს, მაგრამ რადგანაც მექანიზმი ცუდი ჰქონდა, არ აფეთქდა. დამნაშავე მიიმალა.

კალიში, 13 ივნისი. ებრაელთა ბრბო ცდილობდა შონოპოლიის დუქანი დაენგრია, მაგრამ პოლიციამ ბრბო გაჰფანტა.

კოვნა, 13 ივნისი. ერთი კვირის გაფიცვის შემდეგ, ნემანზე ნავოსნობა კვლავ დაიწყო.—საოლქო სასამართლოს კანცელარიაში შტატ გარეშე მოხელენი არ გამოცხადნენ. მათი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ არ იქმნა.

პარიზი, 13 ივნისი. ლუბე მადრიდში 10 ოქტომბერს წავა.—ინგლისის ესკადრა ბრესტში 27 ივნისს მივა და 4 ივლისამდის დარჩება. აურებელი დღესასწაულები იმართება.

ვენა, 12 ივნისი. „ფრემდენბლატი“ მაროკოს კონფერენციის შესახებ ლაპარაკობს და ჰგონია, რომ ყველა სახელმწიფოები, რომლებსაც მაროკოში რაიმე ინტერესები აქვთ, რეფორმების მოსურნენი არიან. ავსტრია ყველაზე მეტად არის დაინტერესებული იმაში, რომ ყველა სახელმწიფო ერთნაირის პრივილეგიებით სარგებლობდეს, ამიტომ მან კონფერენციაზე მოწვევა მიიღო.

პარიზი, 13 ივნისი. გერმანიის ოფიცრები ფეცდან წავიდნენ. სულთანმა მათ ცხენები და იარაღი უბოძა. გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოსამშვიდობებელი სადილი გამართა.—სამხედრო მინისტრმა პროტესტი გამოუცხადა პრესსის იმ ნაწილს, რომელიც ირწმუნება, რომ ჯარი თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებსო. მინისტრმა სთქვა, რომ ოფიცრები მშვენიერი ჰყავს და საინტენდანტო ნაწილი წესიერად არისო. მინისტრს ოვაცია გაუმართეს.

ადესა, 13 ივნისი. ქალაქის განაპირა ქუჩაზე ჯარსა და გაფიცულ მუშათა შორის შეტაკება მოხდა.

ხარკოვი, 13 ივნისი. ევგენი ტიხონოვიჩს ნება მიეცა გამოსცეს მეოთხე ყოველ-დღიური გაზეთი „მირ“-ი.

პეტერბურგი, 13 ივნისი. მიწად-მოქმედებისა და მიწად-მოწყობილების მთავარ მმართველის ამხანაგად დაინიშნა კრივოშეინი. გარეშე საქმეთა სამინისტროს მეორე დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ბენტკოვსკი ამავე დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა. ტვერის გუბერნატორი თავადი ურუსოვი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან. გამოცხადებულ იქმნა წესები შემოსავლისა და კაპიტალის დაზღვევის შესახებ სახელმწიფო შემნახველ-გამსესხებელ კასების მიერ.

კაპშტადტი, 13 ივნისი. (რეატ.) ამოსმა, კარასის მთებში, მარანგოს თემის წინამძღოლმა იერიში მიიტანა ზიბერტზე და წაართვა სურსათი და სამხედრო მასალა. გერმანიის ჯარი დამარცხდა და ძალზე დაზარალდა.

ვარშავა, 13 ივნისი. ბევრს ქარხანაში მუშები გაიფიცნენ. გაიფიცნენ აგრეთვე მესტამბეები და პურის მცხობლები. პოლონური გაზეთები არ გამოსულა.. ქალაქის განაპირას, რამდენსამე ადგილს, ბარიკადების აგებას ცდილობდნენ.

ჩენსტოხოვი, 13 ივნისი. საპოლიციო მართველობის წინ, საღამოს ათ საათზე, უმბარა გადაის-

როდეს. ამბობენ, პოლიცმეისტერი უვნებლად გადარჩაო. ხალხთაგან რამდენიმე დაიჭრა. ასის საჟენის მანძილზე სახლებში შუშები ჩამტვრეულია.

სლავიანსკი, 13 ივნისი. ჰოლანდიის საზოგადოების მარილის მაღაროებში საერთო გაფიცვა დაიწყო.

კიშინევი, 13 ივნისი. კრუშევანის სტამბებში საერთო გაფიცვისა გამო გაზეთი „დრუგ"-ი არ გამოსულა.

ვაშინგტონი, 12 ივნისი. ჩინელები უკმაყოფილებას აცხადებენ იმის გამო, რომ ამერიკელები ძალიან უდიერად ექცევიან მათ და იმუქრებიან, ამერიკელ საქონელს ბოიკოტს გამოვუცხადებთო. ამიტომ რუზველტმა ბრძანება გასცა, ჩინეთის ვაჭრებს და მოგზაურებს ისეთივე ზრდილობით მოექეცით, როგორც სხვა ერთვნების ვაჭრებს და მოგზაურებს ექცევით ხოლმეო. ფიქრობენ, მთავრობის ზომებით მოსპობენ იმ დაბრკოლებას, რომელიც ჩინეთისა და ამერიკის სავაჭრო დამოკიდებულებას ხელს უშლის.

ვარშავა, 12 ივნისი. გუშინ ბევრგან სცადეს დემონსტრაციის გამართვა, მაგრამ პატრულები დემონსტრანტებს ყოველთვის გაჰფანტავდნენ ხოლმე. გამოვიდა სოციალ-დემოკრატების პროკლამაცია, რომელიც მუშებს იწვევს, გაიფიცენით ლოძის მუშებისთვის სოლიდარობის გამოსაცხადებლადაო.

კოვნა, 12 ივნისი. გუშინ ათასმა კაცმა დემონსტრაცია მოახდინა.

სუმი, 12 ივნისი. ლებედინის მაზრაში ხარიტონენკოს და თავად-აზნაურთა წინამძღოლის ველიჩკოს ქონება გადასწვეს ველიჩკო დასჭრეს კიდეც.

პეტერბურგი, 12 ივნისი. გაზეთების სიტყვით, განსაკუთრებული რჩევა, რომელსაც სარწმუნოების შესახები კანონების გადასინჯვა დაევალა, გრაფ იგნატიევის თავმჯდომარეობით მალე მუშაობას დაიწყებს. 13 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროისა, იუსტიციის სამინისტროისა და სინოდის წარმომადგენელთა კრებაა დანიშნული. რჩევა ჯერ კიდევ ოფიციალურად არ არის მოწყობილი. კერძო პირებიდან თ-დი შარინსკი-შახმატოვი და სახელმწიფო საბჭოს წევრები ჩერევანსკი და საბლერი იქნებიან მიწვეულნი.

პეტერბურგი, 12 ივნისი. მინისტრთა რჩევამ განიხილა იმ დაწესებულების მუხლები, რომელიც უნდა დაარსდეს 18 თებერვალს უმაღლესად ბოძებულ რესკრიპტის ძალით. მუხლები ეხებოდა იმ საკითხს, თუ როგორ უნდა მოხდეს წარმომადგენლების არჩევანი. დარჩენილ კითხვებს მახლობელ სხდომაზე განიხილავენ.

პეტერბურგი, 12 ივნისი. ხმები იმის შესახებ, რომ თამბაქოზე გადასახადის მომატებას აპირებენო, სინამდვილეს მოკლებულია.

პერიმი, 12 ივნისი. დღეს აქ გაიარა ორ-საკვამლიანმა გემმა; ეს გემი უნდა რუსის კრეისერი „რიონი" იყოს; გემი ევროპის წყლებისკენ გაემართა.

სერდობსკი, 13 ივნისი. სოფელ ვორონცოვკაში სამასამდე სახლი დაიწვა, საჭიროა დახმარება.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

13 ივნისი.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშები ლინევიჩისა: 1) **11 ივნისის თარიღით:** ჯარში ცვლილება არ მომხდარა. 9 ივნისს, რკინის გზის აღმოსავლეთით, იაპონელები შეეცადნენ ჩვენი სადარაჯო რაზმები კოხოს ხეობისაკენ გაედევნათ, მაგრამ მოგერებულ იქმნენ. ხაილუნჩენის რაიონში იმ რაზმმა, რომელიც ნანშანჩენზე მიდიოდა, ამ სოფელთან მდგარი იაპონელი დარაჯები ადგილიდან გარეკა და ნანშანჩენის სამხრეთით წაიწია. უმანლოუზე მიმავალმა რაზმმა მტერთა დიდი ძალა შენიშნა და მოშორდა. იაპონელები ამ რაზმს აედევნენ და იულანძი დაიჭირეს. 8 ივნისს, შიმაიოძისა და ტოუანძის მხრით, იაპონელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ. 8 ივნისს, კორეაში იაპონელებმა შიუშენი დაიჭირეს. 2) **12 ივნისის თარიღით:** 9 ივნისს ხაილუნჩენის რაიონში მტერმა იერიში მოიტანა ჩვენ რაზმზე, რომელიც ნაშიმიაოძისაკენ მიემართებოდა. ფრთეზე იერიშის მოტანის დროს ფრონტსაც შემოუარეს. იაპონელებს ჩვენს პოზიციებზე მედგრად მოჰქონდათ იერიში და სამთო ზარბაზნებს ისროდნენ. გარს შემომვლელი კოლონა გზის გადაჭრას გვემუქრებოდა. რაზმის უფროსმა ცხენოსნები ამ კოლონის წინააღმდეგ გაგზავნა, რაზმს კი უკან დახევა უბძანა. მტერი აღარ დაგვდევნებია.

ლონდონი, 13 ივნისი. საზოგადოებათა პალატის საპასუხოდ ბალფურმა განაცხადა: მე ეჭვიც არა მქონდა, რომ გემის «ნაიტ-კომანდერის» დაღუპვისა გამო დაკმაყოფილებაზე დაგვეთანხმებოდნენო. რუსეთის მთავრობა მადლიერი არ არის ზოგიერთა თავისს კრეისერის მოქმედებისაო. კრეისერს „დნეპრს" ინსტრუქცია გაეგზავნა მომავალში ამგვარ ინციდენტების თავიდან ასაცილებლადაო.

სინგაპური, 13 ივნისი. 23 მაისს ჰონკონგის ჩრდილოეთით 150 მილის სიშორეზე, რუსის კრეისერმა ,,თერგმა'' დაღუპა გემი ,,იკხონა'', რომელიც ინგლის-ინდოეთის სანაოსნო ამხანაგობას ეკუთვნოდა. გემი ბრინჯით იყო დატვირთული და რანგუნიდან სინგაპურში მიდიოდა. დაღუპულ გემის კაპიტანი იტყობინება, რომ ,,იკხონას'' ოფიცრები და მატროსები წარსულ ღამეს სინგაპურში მიიყვანეთო.

შანხაი, 12 ივნისი. აქ მყოფი იაპონიის კონსული ოდიგარი იაპონიაში გაიწვიეს, სადაც იგი 14 ივნისს წავა, როგორც იაპონიის ერთ-ერთი რწმუნებულთაგანი. აქედან იგი ვაშინგტონში გაემართება. აქ მოვიდა რუსის სამკურნალო გემი „მონგოლია", რომელიც იაპონელებმა პორტ-არტურიდან გაანთავისუფლეს.

მოჯი, 11 ივნისი. იაპონელების-მიერ კიონსიონის დაჭერის გამო კორესპონდენტი იტყობინება: რუსებმა დაიხიეს სუნ-კიონუსკენ, რომელიც კიონ-სიიანიდან ჩრდილოეთით 30 მილის მანძილზე მდებარეობს. ორივე ჯარების მზვერავები ერთმანეთს ძალიან ხშირად ხვდებიან. რუსები კვაინეის მახლობლად გროვდებიან. რუსებს სულ 15000 ქვეითა ჯარი, ცხენოსანი ჯარი და არტილერია ჰყავს. ძლიერს სიმაგრეებს აშენებენ. ვლადივოსტოკს ალყისთვის ამზადებენ. ციხეში სურსათი მიაქვთ.

ტოკიო, 12 ივნისი. რუსები ახლა მდინარე ტუმენის მარცხენა ნაპირზე მოგროვდნენ. როგორც ეტყობა, რუსებს სურთ იაპონელებს წინააღმდეგობა აქ გაუწიონ და ვლადივოსტოკისაკენ წინსვლა შეაჩერონ. ვლადივოსტოკში დიდი მოძრაობაა, ყოველ-დღე სურსათით დატვირთული მატარებლები მოდის. სურსათის ზიდვაში რუსები მდინარე ამურითაც სარგებლობენ. მახლობელ ადგილების მცხოვრებლები სიმშილით იხოცებიან, რადგანაც, რაც კი მოიპოვებოდა, ყველაფერი ვლადივოსტოკში გადაიტანეს. თუმცა ამინდი ხელს არ უწყობს, მაგრამ ოიამას ჯარი მაინც განუწყვეტლივ მოსდის. გაზეთებს დეპეშებით ატყობინებენ, იაპონელები თანდათან გირინ-ჩანჩუნს უახლოვდებიანო. ამ ცნობამ ხარბინში ყველას თავზარი დასცა. მთავრობა ძალიან ეცადა ხალხის დამშვიდება, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. ევრეები ქალაქიდან გარბიან.

პორტ-საიდი. შორეულ-აღმოსავლეთიდან ადესაში დღეს წავიდა ჰოლლანდიის გემი „პერლაკი" და აქ გადმოსხა გემის „ასკონის" მეზღვაურები. ეს გემი 13 აპრილს რუსის კრეისერმა „თერგმა" დაღუპა ჰონკონგის მახლობლად. მეზღვაურები გადაიყვანეს „პერლაკზე", რომელსაც 6 ივნისს „თერგი" შეხვდა.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

მანჯურიაში. იაპონელებს ძალიან უხარიათ გენ. ლინევიჩის გაჭირვებულ მდგომარეობის გამო. იაპონური გაზეთები აცხადებენ, ამჟამად ლინევიჩი უფრო ცუდ დღეში იმყოფება, ვიდრე კუროპატკინი იმყოფებოდა მუკდენის ბრძოლის დროსაო. იაპონელების აზრით, თუ რუსებმა სულ რკინის გზას მისდიეს და დაცვას მოუნდნენ, სხვა ადგილებში იაპონელებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ და იაპონიის იმ ჯარს, რომელიც გარშემოვლას განიზრახავს, გზას დაუთმობენ. (რ.).

პარიზის გაზეთების კორესპონდენტები ტოკიოდან იუწყებიან: დიდი ბრძოლის შემდეგ, საიდანაც გამარჯვებული, რასაკვირველია, ისევ იაპონელები გამოვლენ, ხარბინის ტრაგედია დაიწყება. იაპონელთა ჯაშუშები ხარბინში ავიდნენ, იქაურობა მიათვალ-მოათვალიერეს და დარწმუნდნენ, რომ ხარბინის მიდამოები ძლიერ არის გამაგრებული და ბევრ ადგილას მიწაში ნაღმებია ჩაწყობილი.

საფრანგეთის მთავარ-შტაბის მცოდნე აფიცრებს უთქვამთ: ამჟამად ოიამა ხელს უცაცუნებს ლინევიჩს და იგებს, სად და რა ამბავია. მერე კი, როცა ყველაფერს გაიგებს, ერთ ისეთ ფანდს უგდებს, რომ რუსეთს მუკდენიც დაავიწყდეთ, ლიაოიანიცა და პორტ-არტურიცაო (რ. ს.).

ადმ. როჟესტვენსკის ბრძანება. 26 აპრილს როჟესტვენსკის ესკადრას ნებოგატოვის ესკადრა შეუერთდა. ამის გამო როჟესტვენსკიმ ბრძანება გასცა, საცა, სხვათა შორის, ნათქვამია: „მას შემდეგ, რაც ჩემს ესკადრას ნებოგატოვის ესკადრა შემოუერთდა, ჩვენი ფლოტი არა თუ გაუთანასწორდა იაპონიის ფლოტს, არამედ გადააჭარბა კიდეაც. იაპონიის გემები ჩვენს გემებზე სწრაფად დადიან, მაგრამ არა უშავს-რა, ჩვენ არსად არ ვაპირობთ გაქცევას. იაპონელებს ბლომად აქვთ ნაღმოსნები და ნაღმები, რომლის მოხმარებას ძალიან შეჩვეულან, მაგრამ, თუ ფრთხილად ვიქნებით და თვალს არ მოვხუჭავთ, ვერც ეს ნაღმები დაგვაკლებენ რასმე. იაპონელებს დიდი უპირატესობა აქვთ ჩვენთან: ბრძოლაში გამოცდილნი და გაწვრთნილნი არიან. ჩვენ იმათ ნუ ავყვებით, ზარბაზანს ძალიან ნუ დავუშენთ და ყუმბარას ტყუილად ნუ დავხარჯავთ. თუ ამას შევასრულებთ, გამარჯვებაც ჩვენი იქნება. ეს ყველას უნდა ახსოვდეს. ისიც გახსოვდეთ, რომ იაპონელებს უსაზღვროდ უყვართ სამშობლო, შერცხვენას არ ითმენენ და ისე კვდებიან, როგორც ნამდვილ გმირებს შეჰფერით. ღმერთი [illegible] ხელმწიფის ბრძანების ასრულებას გვიშველის და ჩვენც სისხლით უნდა ჩამოვბანოთ ჩვენს სამშობლოს მწარე სირცხვილი".

ადმ. ნებოგატოვი. პეტერბურგში ამბავი მოსულა, ადმირალ ნებოგატოვს ისე აეშალა ნერვები, რომ არც სძინავს და არცა სჭამს რასმეო. ნებოგატოვი ძალიან დაიტანჯა და ეტყობა, თავის ჭკუაზე აღარ უნდა იყოს.

ზავი. ევროპის გაზეთები სწერდნენ, სანეიტრალო სახელმწიფოები იაპონიის მთავრობას ურჩევენ, რომ იმან ზომიერება გამოიჩინოს და მეტის მეტ მოთხოვნებით რუსეთს ზავზე ხელი არ აალებინოსო. „მატენ"-ის კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, ეს ხმა უსაფუძვლოაო. დღემდის მაგის შესახებ იაპონიის მთავრობისათვის არავის არაფერი შეუტყობინებია. ინგლისი, პირიქით, ცდილობს, რომ იაპონიამ რუსეთს სახალინიც წაართვას, ვლადივოსტოკიც, პორტ-არტურიც, რკინის გზაც, კონტრიბუციაც გადაახდევინოს და 25 წლის გამავლობაში შორეულ-აღმოსავლეთში ერთი სამხედრო გემიც არ იქონიოსო (რ.).

ახალი ამბავი

✦ ხუთშაბათს, 16 ივნისს, საღამოს 8 საათზე, **სათავად-აზნაურო სკოლის შენობაში დანიშნულია** გაგრძელება იმ კერძო კრებისა, რომელმაც უნდა განიხილოს მოხსენება სათავად-აზნაურო სკოლის რეფორმების შესახებ.

✦ სპარსეთის მთავრობამ სახალხო განათლების სამინისტროსთან იშუამდგომლა, რომ **სპარსეთში კურს დამთავრებულებს რუსის უნივერსიტეტში სწავლის ნება მიეცეთო.** ეს შუამდგომლობა უმაღლესად შეწყნარებულ იქმნა, იმ პირობით კი, რომ კურს დამთავრებულ სპარსელებს ისეთი დიპლომები მიეცეთ, რანაირიც სლავიანებს ეძლევათ ხოლმე (ნ. ო.).

✦ **თ-დ ლ. გ. ჯანდიერის ადგილას,** რომელიც ერევნის ვიცე-გუბერნატორად ინიშნება, **ბორჩალოს მაზრის უფროსი შანშიევი გადმოჰყავთ** (ტ. ლ.).

✦ გენერალი მიხაილოვი **ყარსის გუბერნატორად** ინიშნება.

✦ დღეს, 15 ივნისს, ქართლ-კახეთის **სინოდალური კანტორა**, ექსარხოსის თავჯდომარეობით, **მოისმენს** ოქმებს შესახებ 31 მაისის ინციდენტისა, საქართველოს ეპარქიის ბლაღოჩინების სამსახურიდან გადადგომისა, ბლ. მღ. ციცქიშვილის გამოძიებას და ქართლ-კახეთის სამღვდელოების რეზოლუციას.

✦ ტფილისის გუბერნატორის ნებადართვით, **ინჟენერთა კრება ტფილისში,** საინჟენერო ბიუროს დასაარსებლად, მომავალ კვირას მოხდება.

✦ გუშინ, 14 ივნისს, ქალაქის საბჭოს დარბაზში **თავი მოიყარეს ქალაქის მოსამსახურეებმა** და მსჯელობა ჰქონდათ: რა პასუხი გავცეთ ბ-ნ ევანგულოვს ჩვენის შეურაცხყოფისათვისო. თუმცა ბ-ნ ევანგულოვს თავისი სიტყვა უკან წაუღია, მაგრამ უმრავლესობა მაინც იმ აზრისა იყო, რომ სიტყვის უკან წაღება საკმარისი არ არის, საჭიროა მას ჩვენი გულის-წყრომა გამოვუცხადოთო. რეზოლუციის შედგენა კრებამ დღეისათვის გადასდო.

✦ **ქალაქის საბჭომ განიზრახა** ქალაქის ექვს სკოლაში პარალელური განყოფილებები დაეარსებინა. ამისთვის საჭირო თანხაც გადასდო, მაგრამ ქალაქის გამგეობამ ასეთი განყოფილებების დაარსება, სკოლის შენობათა სივიწროვისა გამო, მხოლოდ სამ სკოლასთანა სცნო დასაარსებლად: ელაბარში, კუკიასა და სოლოლაკში, დანარჩენი ფულით კი უნდა დააარსოს ორი ახალი სკოლა ნაძალადევსა და ნავთლუღში.

✦ 4 მაისს ხარბინში გარდაიცვალა **შტაბს-როტმისტრი ი. ე. საბაშვილი.**

✦ მომავალ წლის აგვისტოში კუკიაში **ახალი პროგიმნაზია დაარსდება.** სამოსწავლო პროგრამა თანამედროვე მოთხოვნილების თანხმად იქნება შედგენილი (ტ. ლ.).

✦ **„ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა დამხმარებელ საზოგადოების" კრება,** წევრების დაუსწრებლობის გამო, 15 ივნისს, საღამოს 8 საათისთვის გადაიდო. (ტ. ლ.).

✦ ვეძინის ქუჩაზე, უსუფთაობის **არხის უქონლობისა გამო,** საშინელი სუნი სდგას, ამიტომ ადგილობრივი ბოქაული სთხოვს პოლიცმეისტერს—შესაფერი განკარგულება მოახდინოს ამ ქუჩაზე არხის გაყვანის შესახებ.

✦ უწმ. სინოდის სამოსწავლო მთავარ-საბჭოს წინაშე ქართლ-კახეთის **სამრევლო სკოლების საოლქო საბჭომ შუამდგომლობა** აღძრა, კავკასიის სამრევლო სკოლების შესანახად საერობო თანხიდან, 17,300 მანათის მაგიერ, 19 ათასი მანათი მოგვეცესო, რადგანაც სკოლები ბევრი გვაქვს და კავკასიაში გადმოსახლებულ რუსებს, რომელთა რიცხვიც 60 ათასამდე ავიდა, კიდევ ახალი სკოლები უნდა დავუარსოთო. ეს ქაღალდი უწმ. სინოდს კავკასიის ნამესტნიკისათვის გამოუგზავნია განსახილველად.

✦ **ქალთა საბებიო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა ოცმა ქალმა.** მათ შორის 15 რუსია, ორი ქართველი, ერთი სომეხი და დანარჩენი ებრაელი.

✦ ამ დღეებში დურგლების ამქარს უნდა **აერჩია ამქრის უსტაბაშები,** არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღოთ მხოლოდ ატესტატმიღებულ ოსტატებს, უატესტატო ოსტატებს კი ნება არ ჰქონდათ მონაწილეობის მიღებისა. კრებაზე დურგალთა ერთმა ჯგუფმა განაცხადა: არჩევნებში ძველებურად დალოცვილმა ოსტატებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობაო. დურგალთა კრებამ ეს წინადადება მიიღო და ამაზე შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე.

✦ მეცხრე უბნის პოლიციელების დარგინისა და ალეხინის მკვლელი მ. ტოროიძე შეიპყრეს.

✦ 13 ივნისს, საღამოს 9 საათზე, დიდი მთავრის ქუჩაზე, სოფ. შხივალის მცხოვრებს სოსია სარაძეს, დაძინების დროს რევოლვერი ესროლეს. პოლიციამ დიდუბეში შეიპყრო ერთი ივანე სუხაშვილი, რომელიც სარაძეს უცვნია.

✦ 13 ივნისს, როცა მეისრე საციხ-თალიოღლი სახალხო მატარებელს დახვდა, სახლში ლამფა გადმოვარდნილა და მისი მძინარე ცოლი გადამწვარა.

✦ **კარაკლისი.** 13 ივნისს, საღამოს 10 საათზე, მატარებელმა № 91 გასრისა დ. სარქისიანცი.

რა ბედი მოელის პრესსას?

მიენიჭება თუ არა პრესსას თავისუფლება, შეეძლება თუ არა გამოსთქვას ყოველი თავისი აზრი, თუ ისევ ძველებურად ბიუროკრატიის ცირკულიარებს უნდა დაემორჩილოს, ბიუროკრატიის ყოველი სურვილი, ყოველი ბრძანება უნდა აასრულოს მორჩილად?

ათასი სხვადასხვა ცირკულიარი ხუთავს პრესსის თავისუფლებას, ამახინჯებს მწერლის აზრს, ნებას არ აძლევს იდეალები გამოსთქვას აშკარად...

საცენზურო კანონები მოძველდა, აღარ შეეფერება ახლანდელ ცხოვრებას... იძულებული ვართ, ახლა ვიყოთ გაჩუმებული, როდესაც ბრაზი გვედება გულზე, როდესაც ყოველი პატიოსანი ადამიანი და მოქალაქე ვალდებულია ხმამაღლა იყვიროს, ვინაიდან დადგა ისეთი დრო, რომ „ქვანიც კი ალაპარაკდნენ"..

იძულებული ვართ არაკები, ზღაპრები მოვიგონოთ აზრის გამოსათქმელად, შედარებებით გამოვხატოთ ის, რაც სათქმელი გვაქვს, კანონის ერთგულად, მისსავე მორჩილად მოვაჩვენოთ თავი, მაშინ, როდესაც ძველი წყობილება ირღვევა, როდესაც ახალი ძალები იმარჯვებენ და თავისუფლებისაკენ გზას უკაფავენ საზოგადოებას... როდესაც ეს კანონები უკვე უარჰყო... ცხოვრებამ...

ფელეტონი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის რეორგანიზაცია

(სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს პროექტის გამო)

პროექტის ნაწილი შესახებ სწავლა-აღზრდისა.

პროექტის განხილვის გასაადვილებლად, ამ ნაწილის თეზისებს ორ ჯგუფად გავყოფთ: პირველ ჯგუფის თეზისები იქმნება მე-3, 4, 10, 11 და 12, მეორისი—დანარჩენები, ე. ი. 1-ლი, მე-2 და მე-5—9. პირველ ჯგუფის თეზისები შეეხება რუსულ ენის გრამატიკის სწავლებას, კლასის გარეშე მოსწავლის-მიერ წიგნების კითხვას, ბ-ნთ მასწავლებელთა რეფერატებს, ამათ სამაგალითო გაკვეთილებზე დასწრებას და პედაგოგიურს კრებებზე საპედაგოგიო საკითხების გარჩევას.

თუ არ გაუგებრობით, სხვა არაფრით არ აიხსნება ზემოხსენებულ თეზისების ამ პროექტში მოქცევა. როცა რომელისამე დაწესებულების პროექტს შევიმუშავებთ ხოლმე, უთუოდ ის უმთავრესი პრინციპები უნდა გავითვალისწინოთ, რომელზედაც გვინდა ეს დაწესებულება დავამყაროთ შემდეგში; იმისი კერძო ნაწილები ამ მთავარ პრინციპებიდან უნდა გამომდინარეობდეს და ერთს ჰარმონიულ მთელს შეადგენდეს. ამ შემთხვევაში კი, ე. ი. ზემოხსენებულ თეზისების შესახებ, ამგვარს ვერაფერს ვხედავთ. ყველა ეს—აქეთ-იქიდან ამოკრებილი პედაგოგიური და დიდაქტიური თეზისებია და არავითარი პრინციპიალური მნიშვნელობა არა აქვს იმ ახალის სკოლისათვის, რომლის შექმნაც სურს პედაგოგიურ საბჭოს. ეს ღონისძიებანი, კარგა ხანია, მიღებულია ჩვენს სკოლებში, მაგრამ იგი თავის-თავად სკოლის ნაკლულევანებას მაინც ვერ სპობს.

აბა, ვინ არ იცის ამჟამად, რომ განმარტებითი კითხვა წინ უნდა მიუძღოდეს გრამატიკის გარჩევას? ამის შესახებ ბ-ნი ჩიტაძე ამას წინად ბრძანებდა კრებაზე: როცა ამ თეზისს ვსწერდით, აზრად გვქონდა—რუსულ გრამატიკის სწავლება უფროს კლასებში გადაგვეტანაო. არ ვიცით, რა ჰქონდათ აზრად პროექტის შემდგენელთ, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ თეზისში ამის შესახებ სიტყვაც არაა ნათქვამი. თუნდაც ასე იყოს, მერე რა? რისთვის მოუნდათ პროექტის ავტორებს მარტო რუსულ გრამატიკის სწავლების სისტემის შეცვლა? განა სხვა საგნებისთვის იგივე არაა საჭირო? მერე კიდევ: ახალს რას გვასწავლის ის თეზისები, სადაც ნათქვამია,—მასწავლებელმა რეფერატი უნდა სწეროს, სამაგალითო გაკვეთილები უნდა მოისმინოს და პედაგოგიურ კრებაზე პედაგოგიურ საკითხების შესახებ მსჯელობა გამართოსო? თუ ისეთ ელემენტარულ ჭეშმარიტების ხაზგასმულად აღწერა სურდათ პროექტის ავტორთ, რაზედაც სერიოზულად ლაპარაკი სწორედ სასირცხვოდ და თავის დამცირებად უნდა მიიჩნიოს ყოველმა განათლებულმა მასწავლებელმა, მაშინ უფრო შორს უნდა წასულიყვნენ და, მაგალითად, ასეთი მუხლიც უნდა შეეტანათ: ვინაიდან თანამედროვე საპედაგოგიო მწერლობა მეტად ვრცელია და მასწავლებელიც ვალდებულია გაიცნოს ეს მწერლობა, ამისათვის პედაგოგიურმა რჩევამ საჭიროდ სცნო, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლებმა გამოიწერონ პედაგოგიურ შინაარსის წიგნები, იკითხონ და შეადგინონ ხოლმე კონსპექტები, რადგან წამკითხველს ასეთი კითხვა ხელს უწყობს, ღრმად ჩაუკვირდნენ საგანს და სხვ. დამეთანხმეთ, ამგვარ თეზისსაც, შეიძლება, დაეთმოს ადგილი იმ პროექტში, სადაც ზემოხსენებული მუხლებია მოთავსებული. მერე რა უნდა სთქვას თავად-აზნაურთა საზოგადო კრებამ, რომელმაც ეს პროექტი უნდა განიხილოს? რა თქმა უნდა, გაოცდება, როცა გაიგებს, რომ ჩვენს სკოლაში დღემდე არ ყოფილა შემოღებული ელემენტარული საპედაგოგიო საშუალებანი, ურომლისოდაც სკოლაში ნორმალურ სწავლა-განვითარების დამყარება შეუძლებელია.

ახლა მეორე ჯგუფის თეზისები განვიხილოთ. 1-ლ თეზისში გამოცხადებულია, რომ ტფილ. სათ.-აზნაურო სკოლა არ არის დამოუკიდებელი სასწავლებელი, სადაც მოსწავლე დამთავრებულ საშუალო სწავლას იძენდესო. პედაგოგიურ საბჭოს აზრით, ეს იმის შედეგია, რომ სკოლა ამჟამად იძულებულია მთავრობის გიმნაზიისათვის ამზადოს ყმაწვილი და ამ არა-სასურველ მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სკოლას ამგვარი ხასიათი არა ჰქონდესო.

ჩვენის აზრით, მიზეზი სკოლის ამგვარ მდგომარეობისა სწორედ არ არის ახსნილი. ამ მხრივ ჩვენი სკოლაც იმ პირობებშია, როგორადაც მთავრობის გიმნაზია; ამიტომაცაა, რომ შედეგიც ერთნაირი აქვთ ორთავეს. გიმნაზია ამზადებს მოწაფეთ ეგზამენებისა და ატესტატებისათვის,—ასევე იქცევა სააზნაურო სკოლაც. როგორადაც პირველი ვერ აძლევს დამთავრებულ ცოდნას, აგრეთვე მეორეც. როგორადაც პირველში მოსწავლეთა 5% „ასრულებს სწავლას" და იღებს ატესტატს, ისევე ხდება მეორეშიც. ყველა ეს იქიდან წარმოსდგება, რომ ჩვენი სკოლაც და მთავრობის გიმნაზიაც ერთსა და იმავე პრინციპზეა აგებული, იმ პრინციპზე, რომელიც პირველ წერილში გაკვრით მოვიხსენიეთ: მოსპეთ ეგზამენი, ნიშნები, მიეცით მოწაფეს თავის ინდივიდუალურ ნიჭის განვითარების შეძლება და მაშინ, მხოლოდ მაშინ მისცემს სკოლა დამთავრებულ ცოდნას.

მაშასადამე, პირველი თეზისი, ჩვენის აზრით, სკოლის ყოფა-ცხოვრების არსებითად შეცვლას თხოულობს და ამ მხრივ კი დიდი მნიშვნელობა არ ექნება იმას, რომ ჩვენი სკოლა მარტო მექანიკურად იქმნება მთავრობის გიმნაზიიდან გამოშორებული, როგორადაც ამას პროექტის ავტორნი ჰფიქრობენ. ამნაირად, ავტორნი პირველისავე თეზისით ეწინააღმდეგებიან მათ მიერვე გამოთქმულ აზრსა, რომლითაც ისინი ზოგიერთ არა-ძირითად ცვლილებათა შეტანას ჰფიქრობენ სკოლაში.

ამგვარსავე აზრთა წინააღმდეგობას ვპოულობთ სხვა თეზისებშიაც. თეზისებში ჩამოთვლილი სასწავლო საგნები ძირეულად სცვლის ჩვენის სკოლის ახლანდელ ხასიათს, რომელიც მთავრობის გიმნაზიის პროგრამაზეა დამყარებული.

მაგრამ თავი გავანებოთ ამ აზრთა წინააღმდეგობას,—შევეხოთ თეზისების შინაარსს და ვნახოთ, თუ რამდენად შესაძლებელია ჩვენს სკოლაში მათი განხორციელება.

მე-5 თეზისში გამოცხადებულია: „რჩევას საჭიროდ მიაჩნია, საბუნებისმეტყველო საგნების პროგრამა გააფართოვოს და ამ საგნების სწავლება საფუძვლიან ნიადაგზე დაამყაროს ყოველ გიმნაზიურ კლასში". მეექვსეში: ფრანგულ და გერმანულ ენების სწავლება სკოლაში „ისე უნდა მოწესრიგდეს, რომ მოსწავლე, ჩვენის სკოლის დამთავრების შემდეგ, შეგნებით კითხულობდეს ფრანგულსა და გერმანულს წიგნებს, გაუჭირვებლად ლაპარაკობდეს ამ ენებზე და საკმაოდ იცნობდეს ამ ენებზედვე არსებულ ლიტერატურას".

მე-8 თეზისი ამბობს: „სკოლაში შემოღებულ იქმნას ფილოსოფიის, ფსიხოლოგიის, კანონმდებლობის, პოლიტიკურ ეკონომიის, სტატისტიკისა და ზოგიერთის სხვა *) საზოგადო მეცნიერების სწავლება". ამ მუხლის ძალით, შესაძლებელია, პროექტის ავტორებმა სწავლის კურსში კიდევ შეიტანონ იმისთანა სამეცნიერო საგნებიც, როგორც, მაგალითად: საერთაშორისო უფლება, სახელმწიფო უფლება და ბევრი „სხვა", რომელიც არა-ნაკლებ საინტერესოა ზემო-ჩამოთვლილებზე.

მე-9 თეზისი თხოულობს, „სავალდებულო საგნებთან ერთად შემოღებულ იქმნას საგნების ფაკულტეტიური სწავლებაც შესაფერ საჭირ-ბოროტო საკითხების გამოსარკვევად". ამ თეზისის თანახმად, ჩვენს სკოლაში, ვფიქრობთ, ადგილი ექმნება ისეთ საკითხებსაც-კი, როგორც, მაგალითად, მუშათა მოძრაობის ისტორია, პოლიტიკურ დაწესებულებათა ისტორია, ეროვნული საკითხები, გლეხთა მოძრაობის ისტორია, და სხვადასხვა. დამეთანხმეთ, რომ ყველა ასეთი საგნები თანადროულია, „საჭირ-ბოროტო" და ერთნაირად იპყრობს ჩვენს ყურადღებას.

აი, ის თეზისები, რომელიც, პედაგოგიურ საბჭოს პროექტით, ჩვენის სკოლის სწავლა-აღზრდის პროგრამის უმთავრეს ნაწილს შეადგენს. ამ თეზისებში ცხადად გამოიხატა თანამედროვე სკოლის დაძველებული და ხავს-მოდებული პრინციპი. ჩვენმა ავტორებმა არა თუ არ შეუთანხმეს თავისი თეზისები ახალ გონივრულ პრინციპებს, არამედ, პირიქით, ძველიც უფრო გააზვიადეს და სრულს აბსურდამდე მიიყვანეს.

სულ უბრალო მოსაზრებით შეიძლება ჩვენის ნათქვამის სიმართლის დამტკიცება. დღევანდელს გიმნაზიაში, რომლის პროგრამა სათავად-აზნაურო სკოლაშიც მიღებულია, ყოველ-დღე ხუთი გაკვეთილია. მაგრამ თუ იმასაც ვიანგარიშებთ, რომ გალობისა და მუსიკის გაკვეთილებს თითქმის ყოველ-დღე თითო საათი უნდება, გამოდის, რომ ხუთი კი არა, ექვსი გაკვეთილი აქვს ყოველდღე მოსწავლეს.

ყველა ამას რომ ისიც დავუმატოთ, რომ პროექტით სკოლაში ახალის საგნების მთელი წყება უნდა შეიტანონ, აგრეთვე ახლანდელი კურსიც დიდად უნდა გააფართოვონ და უმთავრესად ქართულ ენისა, მწერლობისა და ისტორიის სწავლებაც გააძლიერონ,—საყოველდღეო გაკვეთილების რიცხვი ორის საათით მაინც გადიდდება. და ამ სახით მოწაფემ უნდა დაჰყოს სკოლის დახშულ ჰაერში არა ნაკლებ რვა საათისა. ეს საქმის ერთი მხარეა. მეორეც,—არ უნდა დავივიწყოთ, რომ აწ არსებულ პროგრამით, გაკვეთილების მომზადებას სამ საათზე ნაკლები არ უნდა: სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთა ახალის პროგრამით-კი, მოსწავლემ ამასვე უნდა მოანდომოს არა-ნაკლებ ოთხის საათისა. ამნაირად ყმაწვილის გონებრივი მუშაობა მოითხოვს დღეში 12 საათამდე! აი, ასეთ გონივრულ მოსაზრებაზეა აგებული ეს „ახალი" პროგრამა! წარმოიდგინეთ, ძველ სკოლასაც კი არ განუვითარებია ამ ზომამდის მოსწავლეთა წამების სისტემა! განა მართალი არ ვიყავით, ზევით რომ მოგახსენეთ,—პროექტის თეზისებით აბსურდამდეა მიყვანილი დღევანდელ სკოლის პრინციპებიმეთქი?

როცა ამ ახლო ხანში მომხდარ კრებაზე ჩვენ ასეთი აზრი წარმოვსთქვით, სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორმა, ბ-ნმა ჩიტაძემ, განუმარტა კრებას: ბ-ნ ღულაძეს ციფრებით უნდოდა დაემტკიცებინა ჩვენის პროგრამის უვარგისობა, ცუდად იანგარიშა და დაავიწყდა, რომ სამინისტროს ახალის პროგრამით, მე-7 და მე-8 კლასში, სადაც უნდა შემოღებულ იქმნას ზემოხსენებული

---

*) სიტყვა „სხვა" აქ ყველაზედ უფრო მშვენიერია! აი, პროექტიც სწორედ ამას ჰქვიან!

მაშ რა ბედი მოელის პრესსას?

არის ხშირად ისეთი ხანა, რომ სულითა და გულით ენატრება ადამიანს მომავლის გაგება, როდესაც გაურკვევლობას ვერ იტანს ვერავინ...

ასეთი ხანაა ჩვენში,—ყოველ მხრივ შევიწროვებული, ხელ-ფეხ შებორკილი, ყოველ თავისუფლებას მოკლებული ადამიანი იბრძვის მომავლისათვის, იბრძვის, რომ დამყარდეს ახალი წყობილება რუსეთში (ნ. ქ.).

კმარა ამდენი სიცრუე და მოტყუილება!

1904 წ. დეკემბერში პეტერბურგის ერთ გაზეთში („ბირჟ. ვედ.“) დაბეჭდილი იყო შემდეგი დეპეშა „საკუთარის კორესპონდენტისაგან“:

მუკდენი. მთავარი სადგომი. 7 დეკემბერს.

„იაპონელების მდგომარეობა მანჯურიაში დღითი-დღე უარესდება, რუსებს სამაგიეროდ ემატებათ მხნეობა და გამბედაობა.

„უკან დახევაზე აღარ ფიქრობს არავინ, ყველგან იმას-ღა ლაპარაკობენ, თუ როგორ დამარცხდებიან იაპონელები. ლაპარაკობენ იმაზე,—ზღვისაკენ დახევის საშუალება მისცენ მათ, თუ ერთის შეტევით მოსპონ სრულებით მათი არსებობაც კი ლიაოიანთან.

„ამ ათასი წლის წინადაც ერთხელ სრულებით განადგურებულა იაპონელების ჯარი ლიაოიანის მახლობლად.

„ამიტომ, ოიამას დამარცხებას რომ წინასწარმეტყველობენ აქ, ეს დამარცხება ბედის-წერად მიაჩნია ყველას“.

ვ. კოზლოვი.

მართალია, ეს დეპეშა პორტ-არტურის აღებამდის იყო გამოგზავნილი, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო სრულად დამარცხებული რუსეთის ჯარი ხმელეთზე, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი დღესაც არა ტყდება და გაიძახის,—დავამარცხებთ იაპონელებსო.

ავიწყდებათ გერმანული ანდაზა: სისულელე ღმერთისაგან გაცემული საჩუქარია, მაგრამ ეს საჩუქარი მაინც ნამეტან ხშირად არ უნდა მოიხმაროს ადამიანმაო. ზოგი კიდევ განგებ ცდილობს მოისულელოს თავი, «რუს პატრიოტობას» იგონებს.

მართლაც, ხომ არის კიდევ ზოგიერთი რუსი, რომელიც ახლაც ოცნებობს იაპონელების განდევნაზე მანჯურიიდან, პორტ-არტურის დაბრუნებაზე, იაპონელების დამარცხებაზე და მათგან კონტრიბუციის აღებაზედაც.

ამას ოცნებობენ „ამა ქვეყნისა ძლიერნი“, ამ ძლიერების ერთგული ყმებიც, რომელთაც სძულთ და ეჯავრებათ ყოველგვარი „ბუნტის ხალხი“ და „მოღალატე“ რუსეთში.

სულ სხვა აზრს ადგია საზოგადოება. ამას წინაე ნაცნობებში მიმოვიკითხე, სურთ თუ არა ომის გაგრძელება,—ყველამ ერთხმად მიპასუხა,—არაო, ახლავე უთუოდ უნდა ჩამოვაგდოთო მშვიდობიანობა იაპონიასთან.

ყველა რუსი ამბობდა ამას.

მხოლოდ პოლონელები, რომელთაც ეჯავრებათ რუსები,—იმიტომ რომ ყოველი რუსი ყოველგან და ყოველთვის სცდილობს რუსეთის საზღვრებში მოსპოს ყველაფერი, რაც არ არის რუსული,—

ამბობენ:

—„იყოს ომიანობა! დეე, დაიღუპოს რუსების ჯარი, დაიქცეს რუსეთი! რაც უფრო დიდ ხანს იქნება ომი, უფრო დასუსტდება ჩვენი მტერი,—რუსები,—უფრო ახლო იქმნება ის სანეტარო წუთი, როდესაც ჯავრს ამოვიყრით რუსებზე და გავახსენებთ იმ შევიწროვებას, რომელსაც ახლა გვაყენებენ რუსეთში!.. რა ვუყოთ, რომ რუსებთან ერთად ჩვენც ვიხოცებით მანჯურიაში, დაიღუპოს რამოდენიმე,—ოღონდ მივაღწიოთ სანატრელ მიზანს და დავაქციოთ რუსეთი!..

ამათ თავიანთი საბუთი აქვთ, როდესაც ითხოვენ ომიანობას. მაგრამ რუსები?.. რუსები, რომელთაც თვითონ არ შეუძლიანთ ომიანობა, რომელნიც თამამად გაიძახიან: გამარჯვება უნდა ენახოთო უთუოდ, რუსის სახელი უნდა აღვადგინოთო, უნდა დავამტკიცოთო, რომ ძლიერია რუსების ხალხი...

ავიწყდებათ, რომ რუსეთში, რუსებს გარდა, ბევრი სხვა ეროვნებაც ცხოვრობს, რომ ამათაც დაღვარეს სისხლი, რომ ესენიც საომრად მიდიან მანჯურიაში,—რისთვის, ნუ თუ იმისთვის, რომ გააძლიერონ რუსების სახელი, განამტკიცონ რუსების გაბატონება სხვადასხვა ერებში?

არა, რუსეთის საქმე ამათაც უნდა ეკითხებოდეს ისევე, როგორც თვით რუსებს.

ეშინიანთ მშვიდობიანობისა იმიტომ, რომ ამითი შემცირდება რუსების სამხედრო სახელი...

მაგრამ ნუ თუ არ იციან, რომ ეს სახელი აღარ არსებობს, რომ არსებულ წეს-წყობილებას სახელი გაუტყდა კიდეც, რომ ამ სახელის აღდგენა აღარ შეიძლება... მოისპო...

ეშინიანთ კონტრიბუციისა... მაგრამ იაპონიამ რუსეთს ამ ომით ასწავლა ჭკუა, იაპონიამ დააჩქარა რუსეთის განახლება და ამიტომ სვინიდისით ერგებათ ჯილდო რუსებისაგან,—მუქთად ხომ ჩვენ დროში არავინ არაფერს არ ასწავლის, არავინ არავის არ ეხმარება... (ნ. ქ.).

ბოდუენ დე კურტენა.

სასულიერო გაზეთის გამოცემის შესახებ

(წერილი რედაქციის მიმართ).

,,ივერიის'' მე-99 ნომერში მოთავსებულია ამბავი იმის შესახებ, რომ ქართლ-კახეთის სამღვდელოებას განუზრახავს დაარსოს თავისი საკუთარი გაზეთი, „სიონი“-ს სახელით... ვინც იცის, რომ ეკკლესიას აქვს მრავალი თავისებური, სპეციალური საკითხი, მრავალი საკუთარი მხარე, რომელთა ასე თუ ისე განმარტება საზოგადოებრივ მნიშვნელობასაც არაა მოკლებული, ამბავს სასულიერო გაზეთის გამოცემის შესახებ სიამოვნებით შეეგებება. მით უფრო სასიამოვნო იქნება მისი არსებობა, რომ ეჭვი არაა, მას მეთაურად ეყოლება თანამედროვე ცოდნით განვითარებული პირი, რომელიც ეცდება—იმოქმედოს თავის ორგანოს საშუალებით საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობის კანონებისა და სასაათის თანახმად და სამღვდელოების სპეციალი წოდებრივი ინტერესები შეუფარდოს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა... სასულიერო გამოცემას გასავალი ექნება, უპირველეს ყოვლისა, სასულიერო წოდებაში; მას არ ეყოლება მკითხველთა ვრცელი წრე. ამის გამო—სანამ მისი მეთაურები ამ ორგანოს გამოცემის სურვილს განახორციელებდნენ,—საჭიროა ერთს გარემოებასაც მიექცეს მათი ყურადღება. ამ წლის მარტის თვეში მომხდარს კრებაზე იმერეთის სამღვდელოებამაც მოინდომა—იქონიოს თავისი საკუთარი სასულიერო გამოცემა და მიმართა დეკ. დ. ღამბაშიძეს, გადაეცა ეპარქიის საკუთრებად ,,მწყემსი''. დეკანოზმა ღამბაშიძემ დიდის სიამოვნებით შეასრულა სამღვდელოების თხოვნა და ამის შესახებ ცალკე სტატია, თუ არ ვცდებით, კრების ჟურნალში შეტანილ იქმნა. ,,მწყემსი'' არსებობს 1883 წლიდან. ეს დამსახურებული ორგანო უკვე ნება-დართულია, ახალი ნებართვა აღარ სჭირდება. აქამომდე თვეში ორჯერ გამოდიოდა; იბეჭდება რუსულადაც „Пастырь“-ის სახელით; უკანასკნელში სხვა შინაარსია, ვინემ ქართულს „მწყემს“-ში. შეიძლება „მწყემსი“ მარტო ქართულად-ღა იბეჭდებოდეს, კვირაში ორი ნომერი გამოდიოდეს; შეიძლება ყოველკვირეულ გამოცემადაც გადაკეთდეს. ამის გამო, ჩვენის აზრით, ბევრად სამჯობინო იქნება, „სიონის“ გამოცემის მაგივრად, მთელმა ქართველმა სამღვდელოებამ ქართლ-კახეთ-იმერეთ-გურია-სამეგრელოისამ შეიძინოს დეკ. ღამბაშიძისაგან „მწყემსი“ საკუთრებად, აღირჩიოს იმის რედაქტორი თავის სურვილისამებრ და გამოარკვიოს, შემდეგში. რა სახითა და პროგრამით გამოდიოდეს ეს გამოცემა. პირველი ხმა ამ საქმეში ქართველ მღვდელ-მთავრებს უნდა ეკუთვნოდეთ.

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მთელი სამღვდელოება სასულიერო გამოცემას უზრუნველჰყოფს ნივთიერად... ამ გამოცემას, რომლის არსებობასთან ჩაქსოვილი იქნება საქართველოს მთელის სამღვდელოების ინტერესები, შეუძლია დაამყაროს მასში ერთობა და სოლიდარობა, რაც მეტის-მეტად სასურველია და ქართველ სამწყსოსთვისაც სასარგებლოა.

ილ. ფერაძე.

რუსეთი

ვორონეჟის გუბერნიაში **გლეხთა მოძრაობა ძლიერდება**. ერთ დიდ-სოფელში, სადაც შაქრის ქარხანაც არის, გლეხებმა არეულობა მოახდინეს. მემამულემ თავის ადგილში გლეხების საქონელი დაიჭირა და დაამწყვდია. გლეხები საქონლის დასახსნელად წავიდნენ. მოლაპარაკების დროს მემამულის მსახურმა თოფი გაისროლა და ერთი გლეხი დასჭრა. გლეხები გაბრაზდნენ, ეცნენ მემამულის შენობებს, ყველაფერი მიანგრმოანგრიეს, დაამტვრიეს და აუარებელი შაქარი გააფუჭეს. ამ დროს იქ ბოქაული და პოლიციელებიც იყვნენ, მაგრამ გაჭირვების გამო ცხენებს მოახტნენ და ძლივს დააღწიეს თავი (ნ. ქ.).

✦ „ბერლ. ტაგებლატ“-ი **რუსეთის მომავალ საერო წარმომადგენლობის შესახებ სწერს**: რუსეთის ბიუროკრატიას უნდა, როგორც ეტყობა, ისეთი წარმომადგენლობა შექმნას, რომელმაც ყოველთვის „დიახ“ უნდა იძახოს და ბიუროკრატიის ცოდვები იკისროს. აქამდის მხოლოდ უკმაყოფილონი იყვნენ ბიუროკრატიით, ახლა კი კმაყოფილნიც გაჩნდებიან. ცხადია, ბიუროკრატიას უნდა 6 მილიონ ებრაელსა და სხვა წვრილ ეროვნებებს უფლებები წაართვას და ამით ახალი მძლავრი მოწინააღმდეგე გაიჩინოს. („რ. ვ.“).

✦ „რუს“-ის კორესპონდენტი ქაბოტინსკი ხერსონის გუბერნიაში დადიოდა და გლეხთა მოძრაობას ადევნებდა თვალ-ყურს. გუბერნატორის განკარგულებით, ცნობის-მოყვარე **ჟურნალისტი დაიჭირეს და დაამწყვდიეს** (რ. ს.).

✦ **პრესსის თავისუფლება**. „რუს. სლ.“-ს კორესპონდენტი ოდესიდან დეპეშით ატყობინებდა რედაქციას, ხვალ ეკატერინოსლავში უნდა წავიდე და ფული გამომიგზავნეთო. დეპეშების ცენზურამ ეს დეპეშა დაიჭირა და დანიშნულებისამებრ არ გადასცა (რ.).

✦ „სინ ოტეჩესტვა“-ს მე-97 ნომერში სწერია: მეთაური და ზოგიერთი წერილები რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო არ იბეჭდება (ს. ო.

✦ 6 ივნისს ვოლოგდის მახლობლად გლეხებმა ერთი სტუდენტი დაიჭირეს და სთქვეს, ეს უეჭველად იაპონელი უნდა იყოსო, და **ჩამოღრჩობა გადაუწყვიტეს**. სტუდენტს ბოქაული მიეშველა, გლეხებს ხელიდან გამოჰგლიჯა და... დააპატიმრა (რ. ს.).

✦ ახბაბადში 8 ივნისს დიდი **არეულობა ყოფილა**, დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა. (რ. ს.).

✦ ამ ახლო მომავალში მოსკოვში მოხდება კრება სრულიად-რუსეთის ერობათა წარმომადგენლებისა. კრება, სხვათა შორის, **რუსეთის განაპირა ადგილების საკითხსაც განიხილავს**. კრებას ბიუროს მრავალი თხოვნა მისვლია, ნება მოგვეცით კრებაზე არა-რუსთა შესახებ მოხსენებები წავიკითხოთო (რ. ვ.).

✦ 5 ივნისს პეტერბურგის მახლობლად **დააპატიმრეს ორი წევრი სარევოლუციო პარტიისა**. სადგომში უპოვნეს 8 მომზადებული და ასამდე დაუმზადებელი ყუმბარა. რევოლუციონერები მახლობელ ტყეში ხშირად სინჯავდნენ ყუმბარების ძალას და ამ დღეებში ერთ უმაღლეს პირის მოკვლა უნდოდათ (რ. ვ.).

✦ 4 ივნისს პოლიციის მინისტრის ტრეპოვის სადგომის მახლობლად **დააპატიმრეს ერთი რევოლუციონერი**, რომელიც ვიღასაც მოკვლას უპირობდა (რ. ვ.).

✦ ივანოვო-ვოზნესენსკში **მუშების ამოკლეტის შემდეგ ცხოვრება სულ გამოიცვალა**: მცხოვრებნი გარბიან, ვინც დარჩა, სახლში ჩაიკეტა და გარედ იშვიათად გამოდის. ყოველ-დღე აუარებელ ხალხს აპატიმრებენ. პოლიციელები ისე დაშინდნენ, რომ მთელ ჯგუფებით გადიან სამსახურიდან. მუშები ყოველ დღე რამდენსამე პოლიციელს ჰკლავენ. გაფიცულია 50 ათასზე მეტი მუშა. ცხოვრება ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ იმის შემდეგ, რაც მრავალი ამხანაგი დაუხოცეს, მუშაობის დაწყებაზე ლაპარაკიც არ უნდათ. ვაჭრობა შედგა, ცხოვრება მოდუნდა (რ. ვ.)

✦ „ოდ. ნოვ.“-ში დაბეჭდილი იყო, ამადაამ დღეს, ამადაამ ქუჩაზე, ლეიბენზონს 4 „ხულიგანი“ დაეცა, სცემეს და 22 მანათი წაართვესო. ამის გამო „სინ ოტეჩ.“-ში დაბეჭდილია წერილი ვინმე ქივოტოვსკისა, რომელიც სწერს: მძარცველები „ხულიგანები“ კი არ იყვნენ, არამედ დონის კაზაკთა მე-8 პოლკის კაზაკები იყვნენ. მე თვითონ დავესწარი ამ ამბავს და ადმინისტრაციასაც შევატყობინე, მაგრამ ყველაფერი მიჩქმალესო (ს. ო.).

✦ სახელმწიფო საბჭომ დაადგინა: საზღვრების დარაჯთა **რაზმს ძველი ფორმის ღილები წაერთვას** და ახალი ფორმისა მიეცეს. ღილების საყიდლად გადაიდოს 4,585 მან. 78 კაპ.

ეს დადგენილება უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა (ს. ო.).

✦ მოსკოვში გააკრეს განცხადება გრადონაჩალნიკისა, რომელიც მცხოვრებთ აფრთხილებს, **მოსკოვში მობილიზაცია უნდა მოხდეს** და მშვიდად იყავითო. მობილიზაცია ხვალ, 16 ივნისს, უნდა გამოცხადდეს (ს. ო.).

✦ ციმბირის რკინის გზაზე **დიდი ქურდობა აღმოაჩინეს**. ბიუროკრატები თურმე სამხედრო ვაგონებს... ჰყიდდნენ და დღემდის ამ ამბავს კარგად მალავდნენ. ქურდები მეისრემ გასცა, რადგან „ანგარიშში“ აწყენინეს და ხვედრი ფული არ მისცეს (რ.)

✦ ამიერიდან **წითელ ჯვარს თვეში** 750 ათასი მანათი მიეცემა **ხაზინიდან** (ს. ო.).

✦ ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტით, მუშებს გაფიცვისა და ორგანიზაციების უფლება ეძლეოდათ. ეს პროექტი სახელმწიფო საბჭომ განიხილა და **გადაჭრით უარჰყო** იგი (ს. ო.).

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

(12 და 13 ივნისი)

კრების დაწყებისათანავე, თავმჯდომარის განკარგულებით, ჰკითხულობენ საგანგებო კომისიისა, ბანკის გამგეობის წევრთა და ზედამხედველ კომიტეტის წევრთა მოხსენებებს ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ, რომელიც ბანკს დარჩა 1904 წლის 12 იანვრის საჯარო ვაჭრობაზე.

როგორც საგანგებო კომისიის მოხსენებიდანა სჩანს (ამ კომისიაში არჩეულ იყვნენ თავ. მ. ნ. ვეზირიშვილი, ი. პ. ისარლიშვილი, თავ. ა. მ. სუმბათიშვილი, თავ. ვ. გ. მაჩაბელი და ალ. ყანჩელი), კომისიას დაუთვალიერებია ეს მამულები და, როგორც თვითონ ამბობს, „სამწუხარო დასკვნა“ გამოუყვანია. მამულები იმ ფულად არა ჰღირს, რომელიც ბანკს სესხად გაუცია, უთავბოლოდ დაუფასებიათ და ფულიც უთავბოლოდ გაუციათ. უკანასკნელ დროსაო—სწერს კომისია თავის მოხსენებაში—ტფილისსა და ბაქოში ზოგიერთები გაფაციცებით, როგორც მოხვდებოდათ, აშენებდნენ სახლებს ერთად ერთის მიზნით, რომ შემდეგში დააგირაონ ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკში და, სესხის მიღების შემდეგ, ხელ მიატოვონ. ეს ვაჟ-ბატონები ან თვითონ მოქმედობენ, მომეტებულ შემთხვევაში კი აგენტების დახმარებით, და მიზნადა აქვთ გამდიდრდნენ ბანკის ფულით. ისინი ბანკიდან გამოტანილ ფულით აშენებენ მეორე სახლებს, ახლა ამას აგირავებენ, გამოაქვთ ფული, შემდეგ მესამეს აშენებენ და ისევ იქ აგირავებენ. ამას ამტკიცებს საჩქაროდ, ტალახით აშენებული სახლები, რომლებიც შენდება არქიტექტორის დაუხმარებლად და სადგომებად სრულიად უვარგისნი არიანო. საკვირველი ის კი არ არის, რომ ადვილად გამდიდრების მოყვარულნი ამას სჩადიან. საკვირველი და სამწუხარო ის არის, რომ ამ პირებმა იპოვნეს იმგვარი ბანკი, სადაც ისინი ადვილად აგირავებენ და გააქვთ იმდენი, რამდენსაც თვითონ მოისურვებენო. დასასრულ, კომისია სწერს: ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ არსებული წესრიგი რომლითაც ხელმძღვანელობენ ბანკის გამგეობა და დამფასებელი კომისია მამულების დაფასებისა და სესხის გაცემის დროს, არ შეიძლება კანონიერად ვიცნოთო. საჭიროა, ბანკის გამგეობამ მამულების დაფასებისა და დაგირავების დროს მეტი ენერგია და მეტი გამჭრიახობა გამოიჩინოს; საჭიროა, დამფასებელ კომისიის წევრებს კონტროლი გაუწიოს და, საზოგადოდ, საქმეებს ფრთხილად და არა-ფორმალურად მოექცეს და აქტებს მხოლოდ ხელი აწეროსო. როდესაც ბანკში გირავდება რომელიმე მამული, ბანკის გამგეობამ ერთ-ერთი თავის წევრი ან დაფასების წინად, ან შემდეგ უნდა გაგზავნოს ამ მამულის დასათვალიერებლად, რადგან გამგეობამ უნდა იცოდეს, ფულს რაში აძლევს, მით უმეტეს, რომ ყველა ეს მამული აქვე, ტფილისშია, და გამგეობას ეს არ გაუძნელდებოდაო.

ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თავ. ი. გ. ჭავჭავაძის მოხსენების წაკითხვის შემდეგ, კრებამ მოითხოვა, დანარჩენ მოხსენებების კითხვას ნუღარ შევუდგებით, რადგან ეს მოხსენებანი ყველას წაკითხული გვაქვს და საჭიროება ამას აღარ მოითხოვსო. ამ საკითხმა კამათი გამოიწვია. თავ. ი. გ. ჭავჭავაძე ამტკიცებდა, უნდა უთუოდ წაკითხულ იქმნას ყველა მოხსენებანი, რომ კრებას შეეძლოს თავისი სამართლიანი მსჯავრი დასდოსო. თავმჯდომარემ ამ საკითხს კენჭი უყარა და კრებამ ერთხმად დაადგინა, დანარჩენი მოხსენებანი კრებას აღარ წაუკითხონ და პირდაპირ კამათზე გადავიდნენ. **ი. პ. ისარლიშვილი** შენიშნავს, რომ გამგეობის წევრთა და დამფასებელ კომისიის მოხსენებაში კარგად არის დასურათებული, როგორ დაათვალიერეს დარჩენილი სახლები, რა მდგომარეობაში ნახეს ისინი და რა მიზეზია, რომ ეს მამულები ბანკს დარჩა. ვინ არის ამაში დამნაშავე და ვინ არის პასუხის-მგებელი, ამაზე ხმას არ იღებენო. ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ მიზეზი, ხოლო ის მამულები რომ არ ვარგა და დიდი ზარალი მოგვივიდა, ეს ხომ ყველამ კარგად ვიცითო. **ა. ი. კობიაშვილი** ამბობს, რომ ამ საქმეში ბრალი ედება ბანკის გამგეობასაც, რადგან ის მოვალეა დასაგირავებელი მამული წინდაწინვე დაათვალიეროს და ფული ისე გასცესო. კრების მოთხოვნილებით, კითხულობენ საგანგებო კომისიის მოხსენებას.

თავ. ი. გრ. ჭავჭავაძე არჩევს ხსენებულ კომისიის მოხსენებას და ამბობს, რომ ამ კომისიამ თავისი მოვალეობა კარგად ვერ შეასრულა, მთელი ბრალი ბანკის გამგეობას დასდო და ნამდვილი მიზეზი კი ვერ აღმოაჩინაო; ყველაფერს იპოვნით ამ მოხსენებაში, ნამდვილ მიზეზს გარდაო—კომისია ბრალსა სდებს გამგეობას, კონტროლს არ უწევდა დამფასებლების-მიერ დაფასებულ სახლებს, მაშინ როდესაც ის მოვალე იყო და არისო. მე ყოველთვის მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ დამფასებელი კომისია განსაკუთრებული ორგანოა და გამგეობას არა აქვს არავითარი უფლება ნდობით არ მოეკიდოს მას და კონტროლი გაუწიოს. ამას გვეუბნება ბანკის წესდების 16 მუხლი, რომელიც ამბობს, რომ დაფასებულ მამულების ზარალი მთლად იმ პირს ედება, რომელმაც ის მამული დააფასაო. სამინისტროდან გამოგზავნილმა რევიზორმაც

ახალი საგნები, ბერძნული ენა ისპობაო; ამასთან ზოგ საგნების გაკვეთილებს შევამოკლებთ და ამგვარად კვირაში 15 საათამდე თავისუფალი გვექმნებაო. ყველა ეს კი საშუალებას მოგვცემს, ჩვენი პროგრამა განვახორციელოთ, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ საგნებს, მაგალითად, სტატისტიკას, არც კი შემოვიღებთ, თუ საშუალება არ გვექმნებაო,—ასე დაამთავრა თავისი მოსაზრება ბ-ნმა ჩიტაძემ.

შეგვიძლიან დავარწმუნოთ ბ-ნი ჩიტაძე, რომ არ დაგვვიწყნია ბერძნულ ენის მეშვიდესა და მერვე კლასებში მოსპობა **). თუმცა, სამინისტროს ახალის პროგრამით, ბერძნული ენა ისპობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გაკვეთილების საერთო რიცხვი მაინც იგივე რჩება, რადგან კურსი ვრცელდება.

მაგრამ დავეთანხმოთ ერთ წუთას ბ-ნ ჩიტაძეს, რომ ჩვენ, მართლა, დაგვავიწყდა ბერძნულ ენის გაუქმება გიმნაზიაში; დავეთანხმოთ, რომ ის შესძლებს სხვა საგნების გაკვეთილები შეამციროს და მეშვიდე და მერვე კლასისათვის იმას დარჩება თავისუფალი 15 საათი! დავეთანხმოთ ყველა ამაში და ვნახოთ, როგორ შეასრულებს ის თავის პროგრამას.

საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება, რომელსაც ადგილი არა აქვს გიმნაზიის უფროსს კურსებში ამჟამად, „საფუძვლიან ნიადაგზე“ დამყარებული რომ იქმნეს ყოველ გიმნაზიურ კლასში, როგორც ამას პროექტის მე-5 თეზისი თხოულობს, ორ-ორი გაკვეთილი მაინც მოუნდება მე-7 და მე-8 კლასში, ასე რომ ეს საგნები მოითხოვს კვირაში ოთხ საათს. ფრანგულისა და გერმანულ ენების რიგიანად სწავლებისათვის, როგორც ამას მე-6 თეზისი თხოულობს, საჭიროა ორ-ორი ახალი გაკვეთილი მაინც მე-7 და მე-8 კლასში, ასე რომ აქაც ოთხ-ოთხი საათი დასჭირდებათ. ქართულის ენისა, ისტორიისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებას, პროექტის მე-2 თეზისის თანახმად, მოუნდება, არა-ნაკლებ ორ-ორი საათისა იმავე კლასებში; ესეც კიდევ ოთხი საათი. ამგვარად, მარტო ზემო-ჩამოთვლილ საგნებს სჭირდება 16 საათი. ბ-ნ ჩიტაძეს კი, მისივე ანგარიშით, მარტო 15 საათი ექნება თავისუფალი. არ ვიცით, სად უნდა იშოვოს ბ-ნმა ჩიტაძემ ზედმეტი ერთი საათი და კიდევ სხვა ახალ საგნების შესასწავლად საჭირო დრო, თუნდაც რომ არ შემოიღოს სტატისტიკა, როგორც ეს მან კრებაზე გამოაცხადა.

ყველა ამას გარდა, ჩვენ ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია დღე-დღეობით, ვიდრე ახლანდელი პროგრამა არსებობს გიმნაზიებში, შევამციროთ საგნების გაკვეთილები. ყველა მასწავლებლებისათვის მარტივი ჭეშმარიტებაა, თუ რამდენადაც საძნელოა ახლანდელის პროგრამის შესრულება ისე, რომ მოწაფეებმა შეგნებით შეითვისონ საგნები.

შესაძლებელია, პროექტის ავტორებმა გვიპასუხონ,—გაკვეთილებს მოსამზადებლად აღარ მივცემთ მოწაფეებსო. პროექტში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი და, რომ კიდეც ასე იყოს, რამდენიმე დრო მაინც საჭიროა მოწაფისათვის თავისუფლად მეცადინეობისათვის.

ამგვარად, ჩემი პირვანდელი ანგარიში შეუცვლელად რჩება: თუ პროექტის ავტორებს უნდათ ცოტად მაინც შეასრულონ თავიანთი პროგრამა, მოწაფეს მოუნდება შრომა არა-ნაკლებ 12 საათისა.

განა შესაძლებელია მოზარდმა ახალგაზდობამ შესძლოს ამგვარი შრომა? თუ დღევანდელი 8—9 საათის შრომა ძალ-ღონეს ართმევს ახალგაზდობას, რაღა უნდა ითქვას იმ შედეგის შესახებ, რომელიც 12 საათის შრომას მოჰყვება!

ჩვენს აზრს ვერც ბ-ნ ღლონტის-მიერ კრებაზე ნათქვამი არღვევს, ვითომ კომერციულ სასწავლებელში საზოგადო და სპეციალურ საგნებსაც ასწავლიან და მოწაფენი ასწრებენ მაინც ამ საგნების შესწავლასო. ჯერ ერთი—საკომერციო სასწავლებელში საზოგადო საგნებს მეექვსე კლასში სრულიად ამთავრებენ და შემდეგი ორი კლასი განსაკუთრებით სპეციალურ საგნებისათვის არის მიჩენილი. მეორე—ისიც საკითხავია, აღწევს თუ არა კომერციული სასწავლებელი თავისს დანიშნულებას. იქნება ოფიციალურ ანგარიშებს აქცევენ ყურადღებას, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ რომელისამე დაწესებულების ანგარიშსა და სინამდვილეს შორის ხშირად დიდი განსხვავებაა...

ამრიგად, მკითხველი ხედავს, თუ რა მძიმე ტვირთს ადებენ პროექტის ავტორნი მოწაფეს გონებრივ განვითარების საქმეში. ახლა ვიკითხოთ, როგორ უვითარებენ ,ესტეტიურსა და ფიზიკურ მხარეს? ამის შესახებ პროექტში არსად ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. ალბად, ეს უცაბედად გამოტოვებულა, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისთანა გულ-მავიწყობა ყოვლად შეუწყნარებელია. ყოველ ნორმალურად დაყენებულ სკოლაში ესტეტიურ-ფიზიკურ განვითარებას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს და მხოლოდ ამაზე უნდა იქნეს დამყარებული მოზარდ თაობის გონებრივი განვითარება. მართალია, პროექტის ზოგიერთმა ავტორმა კრებაზე განაცხადა, ვერ მოვასწარით პროექტის ამ მხრივ შემუშავებაო, მაგრამ ჩვენ ამაზე მოვახსენებთ, რომ, თუ პროექტში წვრილმანები აღნიშნეს, ამ „მსხვილმანს“ უფრო უნდა ჰქონოდა ადგილი, მით უმეტეს, რომ პროექტი გაზეთში დაბეჭდეს საზოგადოების გასაცნობად.

დაგვრჩა განსახილველი მე-2 და მე-7 თეზისი პროექტისა. მიუხედავად იმისა, რომ პროექტს ძირითადი ცვლილება შეაქვს სკოლაში, იმის ავტორებმა გადაჭრით მაინც ვერ გადასწყვიტეს ისეთი დიდი საკითხი, როგორიცაა საგნების დედა-ენაზე სწავლება. ეს საკითხი გადაუწყვეტად აქვთ მათ დატოვებული. რაც შეეხება ლათინურ ენას, რომელზედაც მე-7 თეზისშია ლაპარაკი, პროექტის ავტორებს დაუტოვებიათ ეს ენა იმ განზრახვით, რომ სკოლაში კურს-დამთავრებულს შეეძლოს რუსეთისა ან საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა. აქაც აზრთა წინააღმდეგობაა: ერთის მხრივ, პროექტი ისე სცვლის ახლანდელ პროგრამას, რომ მოსწავლეთ ძალიან გაუჭირდებათ ატესტატების მიღება და ამით, რასაკვირველია, უნივერსიტეტებში შესვლაც; მეორე მხრივ—პროექტი მაინც სტოვებს ლათინურ ენას ამ ატესტატების მისაღებად.

ასეთია ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს პროექტი ამ სკოლის რეორგანიზაციისა იმ ნაწილში, რომელიც სწავლა-აღზრდას შეეხება.

დავასკვნათ ჩვენი ნათქვამი.

პირველი თეზისი, რომელშიაც გამოცხადებულია-სკოლაში დაწესებულ იქმნას სრული, დამთავრებული საშუალო სწავლებაო,—ვერ განხორციელდება მარტო იმით, რომ სათავად-აზნაურო სკოლას მთავრობის გიმნაზიას დავაშორებთ, როგორც ეს პროექტშია აღნიშნული; ამისათვის საჭიროა თვით სკოლის პრინციპის შეცვლა, რომლის შესახებ პროექტი სრულიად არაფერს ამბობს;

მეორე თეზისი გადაჭრით ვერა სწყვეტს ისეთ საყურადღებო საკითხს, როგორიც არის ენა, რომელზედაც უნდა ისწავლებოდეს სკოლაში ყველა საგნები;

თეზისები: მე-3, 4, 10, 11 და მე-12 თავის შინაარსით უადგილოა პროექტში.

დასასრულ, მე-5—9 თეზისებიდან უმრავლესი ვერას გზით ვერ განხორციელდება ჩვენს სკოლაში, სანამ დღევანდელი პროგრამა დარჩება იქ, რადგან ეს იქმნებოდა პედაგოგიის ელემენტარულ მოთხოვნილებათა წინააღმდეგი. ყველა ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ პროექტში სრულებით მოხსენებული არ არის ესტეტიურისა და ფიზიკურ განვითარების მხარე.

ამის გამო პროექტი სრულებით არ იძლევა იმას, რამაც უნდა გააუმჯობესოს სკოლის მდგომარეობა და რაც საგნად ჰქონდათ პროექტის შემადგენელთ. პირიქით, იგი დღევანდელსავე სკოლას გვიტოვებს, მხოლოდ—გადამახინჯებულს. თუ დღევანდელი სკოლა თავის დანიშნულებას სასურველად ვერ აღწევს და საწუხარო შედეგი მოაქვს, სათავად-აზნაურო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს-მიერ შემუშავებულ პროექტით გადაკეთებული სკოლა კიდევ უფრო სამწუხარო შედეგს მოიტანს. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლიან მივიღოთ ის ნაწილი პრექტისა, რომელიც სწავლა-აღზრდის მოწყობას შეეხება.

თუ მომავალში ჩვენის სკოლის რეორგანიზაციას მოვახდენთ, ეს სულ სხვა პრინციპებზე უნდა მოხდეს, და არა ისე, როგორც ამას პროექტი გვირჩევს. თუ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საზოგადო სურვილი და მისწრაფება ეროვნულ ავტონომიისადმი უნდა განხორციელდეს, იმ შემთხვევაში მოვალე ვართ ისეთი სკოლა შევქმნათ, სადაც ყველა საგნის სწავლება უთუოდ ქართულ ენაზე სწარმოებდეს, რადგან ასეთ სკოლას მომავალ წეს-წყობილებაში უთუოდ საპატიო ადგილი ექნება. თუ იმისი საშუალებაც კი არა გვაქვს, რომ ერთი ნაციონალური საშუალო სკოლა შევინახოთ, მაშინ სულ თავი უნდა დავანებოთ მაღალ ფრაზების რახა-რუხს, რადგან ეს მხოლოდ თავის მოტყუება იქნება.

გარდა დედა-ენისა, ჩვენს ახალს სკოლაში განხორციელებულ უნდა იქმნას ის პრინციპები, რომელსაც თვით ცხოვრება და სკოლის საუკეთესო წარმომადგენელნი თხოულობენ. იმათში უპირველესი ადგილი უნდა დაიჭიროს: პროგრამის შემცირებამ, ესტეტიურ და ფიზიკურ განვითარებამ, ინდივიდუალურ ნიჭის თავისუფლად განვითარებამ და ეგზამენებისა, ნიშნებისა და ატესტატების მოსპობამ. ყველა ეს უნდა იქმნეს მომავალ რეორგანიზაციის დედა-ბოძად.

ახლანდელი სკოლა საკმაოდ დიდი ხნისაა და, რა თქმა უნდა, ადვილად არ დაუთმობს ადგილს ახალ სკოლას. მაგრამ ამან ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საჭიროა ბრძოლა ძველ სკოლასთან, მაგრამ ამასთანავე უნდა გვრწამდეს გამარჯვებაც. ამას თხოულობს მოზარდ თაობისა და თვით პედაგოგთა ინტერესი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება პედაგოგებმა პირ-ნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა.

იაკობ ღულაძე

---

*) მომავალ წელში მხოლოდ მე-7 კლასში ისპობა ბერძნული ენა და როგორ იქნება საქმე მე-8 კლასში, ეს ჯერ-ჯერობით არავინ იცის.

ბიბლიოთეკა

მიაქცია იმ გარემოებას ყურადღება, რომ ჩვენ კონტროლს არ ვუწევთ დამფასებელ კომისიას დაფასების დროს, ამაზე ჩვენ ვრცელი მოხსენება გავგზავნეთ სამინისტროში და სამინისტროს ამაზე ხმა არ ამოუღია. ორატორს მოჰყავს მაგალითები გერმანიისა და ავსტრიის ბანკებისა, სადაც დამფასებელი კომისიები არც კი არსებობს, იქ ყველა დამფასებელი თავისით მოქმედობს და პასუხის-მგებელიც ის არისო. შემდეგ თავადი უთითებს საზოგადოებას ტფილისში საერთო კრიზისზე. ამგვარი კრიზისი იყოო—ამბობს ის—1884 წელს, როდესაც ჩვენ ბევრი მამული დაგვრჩა და 600,000 მანათი ვიზარალეთო. იმ წელს ერთი კაპეიკი მოგება არ დაგვრჩა, მაგრამ შემდეგში ბანკი, როგორც ჰხედავთ, მკვიდრ საფუძველზე დადგაო. ამჟამად კრიზისი დაიწყო 1900 წლიდან და გრძელდება აგერ 1904 წლამდის და, აი, ეს არის მიზეზი, რომ წელს ამდენი მამული დაგვრჩაო. იმედი გვაქვს, როგორც 1884 წელს, ისე ახლაც საქმე გამოკეთდესო. კომისიის მოხსენებაში სწერია, ბანკში ისეთი რეჟიმი არსებობს, რომ გასაკვირველი არაფერი არისო. ამაზე მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ ეს რეჟიმი ჩვენს ბანკში, 30 წელიწადია, არსებობს და ბანკს ამითი არაფერი დაუკარგავს. მიზეზი რეჟიმი კი არ არის, არამედ ზემო-ნათქვამი მოსაზრებანი და, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ დღევანდელ მოძრაობის გამო ყველა შიშობს საჯარო ვაჭრობით მამული შეიძინონ, მუქარის წერილები მოსდით ყიდვის მსურველთ და სახლები იმიტომ რჩება ბანკსაო. ორატორი კრების ყურადღებას აქცევს შემდეგს გარემოებას: კომისია თავის მოხსენებაში სწერს, სახლებს საჩქაროდ აშენებენ ტალახით და შემდეგ ბანკში აგირავებენ იმ მიზნით, რომ ფულის მიღების შემდეგ, ხელ მიატოვონო. ამას საზოგადოება წაიკითხავს, თავისს აზრს შეადგენს და, შეიძლება, ამით ბანკს დიდი ზარალი მოუვიდესო. კომისიას უნდა სცოდნოდა, ჯერ ერთი, რომ ტფილისში ამ ტალახს სულ სხვა თვისება აქვს და, მეორეც, ჩვენს ბანკში დაგირავებული სახლები ყველა ტალახით არ არის აშენებულიო. დასასრულ, თავ. ჭავჭავაძე განიხილავს ყოველს დარჩენილს სახლს ცალკე და ამტკიცებს, რომ არც დამფასებელ კომისიას, არც გამგეობას მათ დაფასებაში ბრალი არა აქვთ, ყველა ეს კრიზისის ბრალია და, თუ აქვთ რაიმე ბრალი, ეს იმიტომ, რომ ადამიანს შეუძლიან შესცდეს და უცოდველი არავინ არისო. სხვა ბანკებს ზარალი მილიონობით მოსდის, რაც, რასაკვირველია, ჩვენს ბანკს არ ამართლებს. სასურველია, ბანკს არც ერთი მამული არ დარჩეს, ერთი კაპეიკი არ იზარალოს, მაგრამ ამას ბანკი ვერ ასცდება და ვერა საშუალებით გვერდს ვერ აუქცევსო.

მ. ვ. მაჩაბელი შენიშნავს, რომ ბანკს ზარალი მოუვიდა, ბანკის რწმუნებულნი შეიყარნენ, მოითხოვეს ანგარიში, და იმის მაგივრად, რომ გამგეობამ აგვიხსნას მიზეზი და გვიჩვენოს გზა, რომ შემდეგში ეს აღარ განმეორდეს, ან ბანკის გამგეობამ თავი იმართლოს,—თავ. ჭავჭავაძის ნათქვამს დამნაშავეთ ჩვენვე გამოვყევართ, ვინაიდან ბანკის საქმეები მშვენივრად მიდისო. ერთი ამ კითხვაზე გვიპასუხეთ, მართლა მშვენივრად მიდის ბანკის საქმეები, თუ ჩვენა ვართ დამნაშავენი, რომ ეს ასე არა გვგონია? **თავ. ი. გ. ჭავჭავაძე** უპასუხებს: არჩეულმა კომისიამ, ნამდვილ მიზეზის მაგივრად, ბანკში რაღაც რეჟიმი გამოსჩხრიკა და ყველაფერს ამ რეჟიმს აბრალებს. მე კი ვამბობ, რომ ცოტა ჩვენა ვართ დამნაშავე, ცოტა დამფასებელი კომისია, ბევრად კი დამნაშავეა სხვა გარემოება. **თავ. პ. ა. გრუზინსკის** აზრით, აქ დამნაშავეა დამფასებელი კომისია, რადგან იმან მიზნად დაიდო გააფართოვოს ბანკის ოპერაცია, კონკურენცია გაუწიოს სხვა ბანკებს და იმას კი აღარ ჰფიქრობს, რომ ამგვარ გაფაციცებულ მუშაობასა და წინდაუხედველობას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს. ორატორს მოჰყავს ფაქტი, რომ დამფასებელ კომისიის ერთმა წევრმა ერთი წლის განმავლობაში დააფასა 360 მამული. რა არის აქ გასაკვირველი, რომ ამ რიცხვში 5—10 მამულის დაფასების დროს წინდახედულად ვერ მოიქცა და დააფასა იმდენად, რამდენადაც ეს მამულები არა ღირსო. დასასრულ, თავ. გრუზინსკი იმეორებს, რომ დამფასებელი კომისია სცდილობს, რაც შეიძლება, მეტი მამული დაიგირაოს ბანკმა და ამით ბანკის ოპერაცია გააფართოვოს. თავადი მიაქცევს კრების ყურადღებას ამ გარემოებას და ურჩევს, რაიმე საშუალება მიიღეთ, რომ დამფასებელ კომისიის წევრები ამ სენიდან განკურნოთო. **ალ. ყანჩელი** ამტკიცებს, რომ ბანკის გამგეობა მოვალეა დამფასებელ კომისიის წევრებს დაფასების დროს კონტროლი გაუწიოს და, როგორც საგანგებო კომისიის წევრი, უპასუხებს თავ. ი. ჭავჭავაძეს იმ ბრალდებაზე, რომელსაც ის კომისიასა სდებს.

დაგვიანებისა გამო კრება გადაიდო საღამოს 8 საათისათვის.

ქალაქის საბჭო

13 ივნისის სხდომა.

ქალაქის თავის მოადგილემ, თავ. ჩერქეზიშვილმა, წაიკითხა წერილი ძმ. ზუბალაშვილებისა, რომელნიც თხოულობდნენ, სახალხო სახლის გამგე კომისიის წევრები უნდა აირჩიონ ქართ. დრამ. საზოგადოებამ, სომხ. დრ. საზოგადოებამ, სიფხიზლის საზოგადოებამ, სახალხო კითხვათა საზოგადოებამ, ერთი ჩვენი წარმომადგენელი აქნება, ერთი ქალაქისა და ერთიც—ქალაქის თავი. ეს წევრებიო,—იწერებოდნენ ზუბალაშვილები,—საბჭომ უნდა დაამტკიცოსო.

ამ წინადადებამ დიდი კამათი გამოიწვია. თავ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკი, ხუდადოვი, ხრამელაშვილი და მიქელაძე ამბობდნენ, სახალხო სახლი ისეთი ძვირფასი საჩუქარია, რომ ქალაქმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს და ძმ. ზუბალაშვილებს მადლობა გადაუხადოსო.

მიქელაძე ამტკიცებდა, მცოდნენი და საქმის მოყვარულნი ისევ იმ საზოგადოებებში მოიძებნებიან, რომელთაც გამგე კომისიის წევრები უნდა აირჩიონ. ქალაქს 2 წევრი ეყოლება და მეტი არც უნდაო.

ხატისოვი. მიქელაძე ამტკიცებს, ქალაქისთვის სულ ერთია, ვინ განაგებს ამ სახლსაო. სულ ერთი არ არის. რად უნდა ხარჯოს ქალაქმა ამ საქმეზე საუარგებელი ფული, თუ 2 წევრზე მეტი არ ეყოლება კომისიაში? აქ რაღაც გაუგებრობაა. დარწმუნებული ვარ, კარგად რომ ავუხსნათ ბ-ნ ზუბალაშვილებს საქმის ნამდვილი მდგომარეობა, დაგვეთანხმებიან და ჩვენს წინადადებას მიიღებენ. ნუ ავჩქარდებით, თორემ ეგ სახლი ხელიდან წაგვივა და ცარიელზე დავრჩებით. ბ-ნ ზუბალაშვილებს ვთხოვოთ, რომ ყველა წევრი საბჭოს ხმოსანი იყვეს, რომელნიც ზემოხსენებულ საზოგადოებებმა უნდა დაგვისახელონ.

ა. ბაბოვი სავსებით ეთანხმება ხატისოვს და ამბობს: იქნება, მაგ საზოგადოებებმა ვიღაც „ხულიგანები“ აირჩიონ და ჩვენ მოვალენი ვიქნებით დავამტკიცოთ.

ბულ.-ბალდასაროვის აზრით—ეს საჩუქარი აღარ გამოდის,—სახელი ჩვენია და სახრავი სხვისაო. მე, მაგალითად, არ ვიცი, ვინ არიან მაგ საზოგადოებათა წევრნი.

ხრამელაშვილი მაგ საზოგადოებათა წევრი იდეიური მუშაკნი არიან. მთელი თავისი ძალ-ღონე მაგ საქმეს შესწირეს და საქმესაც ჩვენზე კარგად გაუძღვებიან. ხატისოვის და ბაბოვის სიტყვით, ზემოხსენებულ საზოგადოებებს შემთხვევითი წევრები ჰყავთ. მე პროტესტს ვაცხადებ ამის წინააღმდეგ და ვამტკიცებ, რომ ისინი ჩვენზე კარგად გაუძღვებიან საქმეს.

მიქელაძე. ხატისოვი აცხადებს, ზუბალაშვილების წერილში ჩვენდამი უნდობლობა სჩანსო. აქ არავითარი უნდობლობა არ არის, საკვირველია, ღმერთმანი! დღემდის ქალაქს ფიქრადაც არ მოსვლია ამისთანა სახლის აგება; ეხლა თითქო ციდან ჩამოვარდა 300 ათას მანათად ღირებული საჩუქარი, ჩვენ კი ვკამათობთ,—მივიღოთ თუ არაო. ფაქტიურად ისევ ქალაქი იქნება სახლის გამგე, რადგან უმთავრესი იარაღი—ბიუჯეტი—ჩვენს ხელში რჩება.

ხუდადოვი. არ მესმის, რა ხდება აქ! აქამდის ჩვენს გარდა ყველანი აკეთებდნენ რასმე ხალხის გასანათლებლად, ახლა ჩვენც გვეძლევა შემთხვევა ხელი გავანძრიოთ, მაგრამ მაინც ვფიქრობთ და ვყოყმანობთ; ჩვენს საბჭოს თავისი თავი შეუყვარდა. წამდაუწუმ ვყვირით, პროგრესისტები და დემოკრატები ვართო. მაგრამ, აბა, ერთი აქაურ მუშებსაც ჰკითხეთ. ისინი პირდაპირ გვეუბნებიან, თქვენ მხოლოდ თქვენს ჯიბეზე ფიქრობთ, თქვენ ბურჟუები ხართო... (დამსწრე გარეშე საზოგადოება ტაშს უკრავს და „ვაშას იძახის“).

ხატისოვი (გაბრაზებული წამოხტება). მე პროტესტს ვაცხადებ! ხუდადოვმა უკანვე უნდა წაიღოს თავისი სიტყვები! (სხვებიც წამოხტებიან და ყვირიან. ზევიდან ტაშს უკრავენ. რამდენსამე წუთს განუწყვეტელი ყვირილი და ხელების ქნევაა. ტიგრანოვი და სხვები ხუდადოვს რაღასაც უყვირიან, მაგრამ საერთო ხმაურობაში არაფერი ისმის. ხატისოვი დემონსტრატიულად გარედ გადის, მას რამდენიმე ხმოსანი მისდევს. კრება ცოტა ხნით შესწყდა).

ხუდადოვი. მე სიტყვას განვაგრძობ. ხატისოვის სიტყვით, ზუბალაშვილები უნდობლობას გვიცხადებენ; ბაბოვის სიტყვით, ნახსენები საზოგადოებანი კომისიის წევრებად „ხულიგანებს“ აირჩევენ. ეს ტყუილია. ზუბალაშვილები მხოლოდ იმას თხოულობენ, მცოდნე პირებსაც მონაწილეობა მიაღებინოთ მაგ საქმეში. აქ ამტკიცებენ, ქალაქმა მაგ საქმეზე წელიწადში 25—50 ათასი მანათი უნდა დახარჯოსო. ეს ნამდვილი სიცრუეა. სახალხო სახლი თვითონვე დაჰფარავს ხარჯს და ქალაქს კაპეიკის დახარჯვაც არ დასჭირდება. ზუბალაშვილების წინადადება უეჭველად უნდა მივიღოთ.

ეგანგულოვი. საჭირო არ იყო ამდენი ლაპარაკი და ჩხუბი. აი, უკანასკნელი წერილი ზუბალაშვილებისა (კითხულობს წერილს, სადაც ნათქვამია, რომ კომისიის ოთხ წევრს ოთხი საზოგადოება ირჩევს და საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად). ეს წევრები შეიძლება ხმოსნებიც იყვნენ, შეიძლება—ამომრჩევლებიც. ამის გამო აქა იქ ის აზრი გამოითქვა, რომ საბჭო არაფერსაც არ წააგებს,—რადგან ნება აქვს, საზოგადოებათა მიერ არჩეული წევრები არ დაამტკიცოს ჩავეწერებით მაგ საზოგადოებაში და—ავირჩევენ; თუ სხვა აირჩიეს,—არ დავამტკიცებთ, მეორედ აირჩევენ, არც მაშინ დავამტკიცებთ. ამას იმდენჯერ განვიმეორებთ, სანამ ჩვენთვის სასურველ წევრს არ აირჩევენო. ამგვარ განმარტების შემდეგ საბჭომ ერთხმად მიიღო ძმ. ზუბალაშვილების წინადადება.

თეატრი და ხელოვნება

ორშაბათს, 6 ივნისს, ფოთის კლუბის დარბაზში, სცენის მოყვარულთა მიერ, არტისტის დ. ჩარკვიანის მონაწილეობით, ადგილობრივ სახალხო სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენილ იქმნა „ირინეს ბედნიერება“, სურათი სოფლის ცხოვრებიდან, დ. კლდიაშვილისა.

წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. ყველანი ხელს უწყობდნენ საზოგადო ანსამბლს, გარდა ქ-ნ დ. ჩხენკელისა (ირინე), რომელიც ძლიერ კოჭლობდა. საუცხოვო იყვნენ ბ-ნნი: დ. ჩარკვიანი (ფილიპე ბარბაქაძე), ან. კაციაშვილი (აბესალომ), ბ. ელიავა (პავლე როდამიშვილი) და კინდისონი (ვიქტორი). შემდეგ წარმოადგინეს „თავვის ბრალია“, კომედია ერთ მოქმედებად თხზ. ა. როზოსი, თარგმანი ვ. გუნიასი. ითამაშეს ბ-ნ ლ. ახობაძემ და ქ-ნ ალ. ჩაჩანიძემ, რომლებმაც საუცხოვოდ ჩაატარეს. ქ-ნი ჩაჩანიძე სწორედ სცენისთვის არის დაბადებული და აფსუსია სცენის გარედ იმყოფებოდეს. კარგს იზამდა ქართული დრამატიული საზოგადოება, რომ მიიწვევდეს, რისთვისაც ერთი ნიჭიერი მსახიობი ქალიც მიემატებოდა ჩვენს ეროვნულ სცენას. წარმოდგენას ძლიერ ცოტა საზოგადოება დაესწრო. ამბობენ, ერთ კაცს ხმა გაუვრცელებია: „დღეს წარმოდგენას ნუ დაესწრებით, თორემ დიდი უსიამოვნება შეგემთხვევათ“-ო. თუ ეს მართალია, დიდი უზნეობაა, ვინაიდან საზოგადო საქმის ხელის შეშლა ვერ არის კეთილშობილური საქციელი...

ბ პელაშვილი.

კორესპონდენცია

ბათომი, ამიერ-კავკასიის ქალაქთა შორის, მშრომელი ხალხის სიმრავლეში ბათომს უეჭველად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. აქაურ ნავთის მწარმოებელთა ქარხნებს დღემდის სჭირდებოდა ათიათასამდე მუშა-ხელი. იყვნენ კიდევ და არიან ახლაც, ეგრედ-წოდებული, ბუხტის მუშები, გადმომტვირთავ-დამტვირთველნი სხვადასხვა, ევროპიდან თუ რუსეთიდან, მოსულ საქონლისა.

დღემდის იყო დარჩენილი მხოლოდ მანთაშოვის ქარხანა, რომელიც კვებავდა 2,000-დე მუშას. ბუხტიც დღეში 500-ოდე მუშას ასაზრდოებდა. ახლა კი მანთაშოვის ქარხანამ გამოუცხადა მუშებს, ანგარიში მიიღეთ და წაბრძანდითო; გემების მიმოსვლაც თვალსაჩინოდ შემცირდა. ამ გარემოებამ გამოიწვია უკიდურესი კრიზისი. გახშირდა ქურდობა, ძარცვა გლეჯა, ერთმანეთის შეურაცხყოფა და სხვ. საოცარ სურათს წარმოადგენს ახლად მოსულის გემის გინდა ვაგონის წინ თავმოყრილი ხალხი, სხვადასხვა რჯულისა და გვარის მუშა. არის ყვირილი, ლანძღვა, გინება, მუქარა. ყველა თავგანწირულად იბრძვის, რამენაირად იგდოს ხელში სამუშაო „მარკა“. ბრძოლა გრძელდება ყოველ დღე დილაობით ორ-სამ საათს. იგდებს თუ არა რომელიმე მუშა მარკას ხელში, ის მაშინვე წყნარდება და არხეინად ჰკიდებს ხელს მუშაობას, დანარჩენი კი თავბედის წყევლით აქეთ-იქით იფანტება, და შორიდან ემუქრება მარკების დამრიგებელს. ეს მუქარა ხშირად სისრულეშიაც მოჰყავს: კვირა ისე არ გაივლის, რომ ვინმე არ გახდეს მსხვერპლი ამ მუქარისა.

მუშაობა იწყება საათის 8-დან, ძალიან იშვიათად 6-დან, და გრძელდება ნაშუადღევის 4 საათამდე.

კვირა-უქმე დღეს მუშებს ორი დღის ქირა უნდა გადაუხადოთ.

ამის გამო თუ როგორ გაძვირდა აქ ყველაფერი, მკითხველს შევგიძლია მივუთითოთ ერთს ფაქტზე. ამხ. „გეორგია“-ს კანტორას ამ ექვსი თვის წინად ტფილისის ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავ გრანიტის ქვით ვაგონის დატვირთვა უჯდებოდა 2½ მანათი, ახლა კი უჯდება 16-დან 18 მანათამდე. ამას რომ კიდევ დავუმატოთ დღევანდელი არეულ-დარეული საერთო მდგომარეობა, ნათლად დაინახავთ ვაჭრის მდგომარეობის აუტანლობას.

ამ საერთო ქასტობას ახლა კიდევ ზედ დაერთო: სახლების, სასტუმროების და მაღაზიების მოსამსახურეთა გაფიცვა. აგერ ერთი კვირა გადის რაც ბათუმის ყოველგვარი სავაჭრო დაწესებულებანი ნახევრად დაკეტილია.

ამ დღეებში გაიფიცნენ მდგმურები; მათი პირობები უკვე დაიბეჭდა „ივერიაში“.

ბათომის საზოგადოებამ დაადგინა: დაუყოვნებლივ მოისპოს ომი, განხორციელებულ იქმნეს სიტყვის, ბეჭდვის, კრების და გაფიცვის სრული თავისუფლება და მოწვეულ იქმნეს დამფუძნებელი კრება საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულის კენჭის-ყრით განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, რჯულისა და წოდებისა.

რია.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ჩვენ, ბაქოში მცხოვრებ ქართველთა ერთმა ჯგუფმა, გულითადი მწუხარება გამოვუცხადოთ პატივცემულს იასონ გელოვანს ძვირფასის შვილის შამშეს უდროვოდ დაკარგვისათვის, ხოლო ამ პატიოსან ახალგაზდის სისხლის დამქცევთ ზიზღი და შეჩვენება შევუთვალოთ.

დათიკო ქიპინაძე, მათე ლეშქაშვილი, ალექსანდრე კვიტაშვილი, მიხეილ ბაქრაძე, კოსტა კაკაურიძე, ლუკა გუმეშაშვილი, მიხეილ ივანეს ძე ბუაძე, ნიკოლოზ ჯიხვორია, ილიკო ქიპინაძე, გალაქტიონ ტყეშელაშვილი, ფილიპე ბერუჩაშვილი, ნიკიფორე მეგრელიშვილი, ანტონ შაშელეიშვილი, ისიდორე მგელაძე, ნესტორ ქეიშვილი, სერაფიონ ქვამია, კოსტა მეფარეიშვილი, კოლა ადამია, ივანე ნანეიშვილი, თომა სამთელაძე, გრიგოლ ლასხიშვილი, თეთო მაისურაძე, ონისიმე მაჩაიძე, იასონ კირვალიძე, ერეკლე კირვალიძე, ლეონ ლობჯანიძე, თეოფილე კაკულიძე, მიხეილ ბრეგვაძე, ვარლამ ყალყაძე, ყარამან დარჯანია, ლ. ხაჭაპურიძე, ვანო ნერალოვი, მიხეილ სემიჩიშვილი, ივანე კობახიძე, ვიქტორ დათიაშვილი, გიორგი ქიპინაძე, შაშიკო მაჭავარიანი, ილია გოქაძე, ალექსანდრე გოგეტაძე, სიმონ მიქელაძე, ყარამან ლორთქიფანიძე, სტეფანე გოლაძე, მარკოზ გოქაძე, კოლა კაციტაძე, ანდრია მაფათავა, სოლომონ გელოვანი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

14 ივნისი.

ვაშინგტონი. დიპლომატების ცნობებით, რუსეთისა და იაპონიის მთავრობებმა შეატყობინეს პრეზიდენტ რუზველტს, რომ მათი წარმომადგენელნი შეერთებულ შტატებში შეიყრებიან აგვისტოს პირველ რიცხვებში (ახალი სტილით).

სიტიაზა. მარცხენა ფრთეზე 9 ივნისს ცხარე შეტაკება იყო. უფანლოუდან გაგზავნილი რაზმი იაპონელების ხუთს ბატალიონს წააწყდა. იაპონელების ძლიერმა ჯარმა მეორე რაზმზედაც იერიში მიიტანა, რომელიც შიმაოძისკენ იყო გაგზავნილი. ეს ორთავე რაზმი თანდათან უკან-უკან იწევდა, რადგან იაპონელები გზის გადაჭრას უპირებდნენ, და თავის ბანაკს დაბრუნდა. ჩვენი რაზმი გარშემოერტყა ორმოცდა-ათ ხუნხუზს და ყველა შეიპყრო. 10 ივნისს იაპონელების მზვერავებს უნდოდათ ჩვენს სადარაჯოებს გადმოსცილებოდნენ, მაგრამ დარაჯებმა თოფის სროლით მოიშორეს. განაპირა მარცხენა ფრთეზე, ცინხეს ხეობაში, ჩვენმა მზვერავთა რაზმმა აღმოაჩინა მზვერავთა სანგრები, სადაც ქვეითები იყვნენ ჩასაფრებულნი. საღამოთი ჩვენებმა დაიჭირეს ფრთედზე გორაკი და იაპონელებს გასწვრივი სროლა აუტეხეს. იაპონელებს ქვეითა ჯარი და ცხენოსნები მოეშველა, მედგრად დაგვეძგერა და ჩვენი რაზმი აიძულა უკანვე დაეწია. გზაში რაზმი ჩაუსაფრდა მტერს. მოკლულია 8 იაპონელი ცხენოსანი.

ტოკიო (დელი ტელეგრაფი). 18 ივნისიდან დაშიჩაო, ნიუ-ჯუანი, ანშანჩანი, ლიაოიანი, გაიპინგი, ფინხუაჩენი და საიმაძი იაპონელთათვის გზა-ხსნილი იქნება. გუშინიდან კვანტუნში იაპონელებმა სამოქალაქო მართვა-გამგეობა შემოიღეს.

გუნჯულინი. ცვლილება ლაშქარში არა არის-რა. კორეაში იაპონელები თანდათან წინ მიდიან ნინგუტუსკენ.

სახალინი. ძლივს მოგვივიდა ახალი საზაფხულო ფოსტა, თუმცა უმეტესი ნაწილი ხმელეთზე დარჩენილა. მცხოვრებლები გაჩქარებით სტოვებენ კუნძულს, რადგან ფქვილი, ხორცი, მარილი და სხვა სანოვაგე მეტად ნაკლებად არის.

ლონდონი. პრინც არისუგავას ლონდონში მოსვლას უმეტესი მნიშვნელობა ჰქონია, ვიდრე მის სადარბაზოდ მგზავრობას ხმელეთზე. თვით იმას უთქვამს „დელი მელის“ კორესპონდენტისათვის ბრიუსელში, ინგლისში მიკადოს განსაკუთრებულ მინდობილობით მივდივარ, რომ მოკავშირეს მადლობა გადავცეო. პრინცმა განაცხადა, მხურვალე მომხრე ვარ კავშირის განახლების და სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ დიდი იმედიცა მაქვსო. ამრიგად არისუგავას მოსვლით ლონდონში იაპონიამ პირველი ნაბიჯი წადგა საკავშირო ხელშეკრულობის გასაგრძელებლად, ხოლო იმ ცვლილებით ინგლისის სასარგებლოდ, რაც ლანსდოუნმა უკვე საჯაროდ აღნიშნა.

პეტერბურგი, 13 ივნისი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: მავნე მიმართულებისა გამო გაზეთ „ვეჩერნაია პოჩტა“-ს გამოცემა შეჩერებულ იქმნას ერთის თვით 13 ივნისიდან.

პეტერბურგის ქალაქის საბჭოს კერძო თათბირი ჰქონდა და ამოირჩია 15 წარმომადგენელი მოსკოვში მოწვეულ ქალაქის მოურავთა და წარმომადგენელთა კრებაზე დასასწრებლად.

გაზეთების სიტყვით, 18 ივნისს დანიშნულია უკანასკნელი კრება მინისტრთა საბჭოსი ბულიგინის პროექტის განსახილველად.

პეკინი, 13 ივნისი („დელი ტელეგრაფი“). ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ჩინეთში 12 წლის შემდეგ შემოღებული იქნება კონსტიტუცია. მანამდე აუცილებლად საჭირო მოსამზადებელ რეფორმებს შეიმუშავებენ და ხალხსაც მოამზადებენ. ეჭვი არაა, ჩინეთი ყურს უგდებს იაპონიას და ისე იქცევა, როგორც უკანასკნელი უთითებს. ორსავე ქვეყანას შორის სრული თანხმობა სუფევს.

ვარშავა, 13 ივნისი. ებრაელთა უბნებში შიშიანობაა. ხშირად იკრიბებიან ხალხის ბრბონი, რომელსაც ჯარი ჰფანტავს. დლუგის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი ყირამალა გადააბრუნეს, ზოგიერთს ქუჩაზე მაღაზიები დაჰკეტეს.

კალიში, 13 ივნისი. გუშინ საღამოს ქალაქის შუაგულში სროლა ასტეხეს. ისროდნენ ჰაერში. მოსეირნე ხალხი გაიფანტა. მაღაზიები საჩქაროდ დაჰკეტეს. ამ დროს ქალაქის განაპირას გამოჩნდა დიდძალი ხალხის ჯგუფი, მაგრამ დაინახა თუ არა პოლიცია, საჩქაროდ გაიფანტა. ამრიგად, მანიფესტაციის გამართვის ცდა უნაყოფო შეიქმნა, ხოლო მშვიდობიანი მცხოვრებნი კი ტყუილ-უბრალოდ შეაშინა, რამდენსამე ადგილას კი ფანჯრებიც ჩაიმტვრა.

პეტერბურგი. 12 ივნისს ახალ-პეტერგოფში, უდიდებულესობის თანდასწრებით, აკურთხეს ახალი მონაქ. პეტრე-პავლეს კარის ეკლესია.

ვენა. მთავრობამ გადასწყვიტა, ის მეზღვაურნი, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ, ჯერ არ დაითხოვონ.

ტოკიო. იაპონელმა ფინანსისტებმა კორეის მთავრობას სესხად უშოვნეს ორი მილიონი იენი, რომელიც სახელმწიფოს შემოსავლით უზრუნველყოფილი იქნება.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ს. 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის,

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკმა 1905 წ. 7 მაისს მოახდინა მესამოცე ტირაჟი დასახელებულ ბანკის გირავნობის ფურცლებისა. ამ ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლები განაღდებულ იქმნებიან 1905 წლის 1 ივლისიდან:

სახელმწიფო ბანკსა, ყველა მის კანტორებსა და განყოფილებებში; ტფილისში—ბანკის კასაში. ს.-პეტერბურგს: პეტერბურგის გამსესხებელ ბანკში; ლიონის კრედიტსა და მის განყოფილებებში, პეტერბურგის კერძო კომერციულ ბანკში, პეტერბურგის საერთაშორისო კომერციულ ბანკსა და მის განყოფილებებში; „ი. ვ. იუნკერ და ამხ.“ საბანკო კანტორასა და მის განყოფილებებში; „გ. ვაველბერგის“ საბანკო სახლში, აზოვ-დონის კომერციულ ბანკსა და მის განყოფილებებში. ოდესაში: ბ-ნ ხაიმთან; მოსკოვში—მოსკოვის უჩოტნი ბანკში, მოსკოვის საერთაშორისო სავაჭრო ბანკში და „ძმათა ჯამგაროვების“ საბანკო სახლში; ვარშავაში: ვარშავის კომერციულ ბანკში; რიგაში: რიგის კომერციულ ბანკსა და მის განყოფილებებში; რეველში: ბალტიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკში.

ამ ტირაჟში გირავნობის ფურცლებს ზედ უნდა ჰქონდეს ყველა ის კუპონები, რომელთაც ვადა 1905 წ. პირველ ივლის, გადის, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისაღებ ფულიდან დანაკლის კუპონების ფასი გამოერიცხებათ.

№№ 5% გირავნობის ფურცლებისა, რომელიც მესამოცე ტირაჟში გამოვიდა.

100 მანათად ღირებული:

ვადიანი.			უვადონი.				
29 წ. 9 თ.	36 წ. 4 თ.	61 წ. 8 თ.					
			173	993	2835	3833	7159
61	348	1006	174	1083	2940	4797	
	425	1014	188	1491	3129	4940	
	606		351	1681	3190	5001	
	1170		511	1835	3201	5044	
	1282		585	2303	3349	5264	
	1543		750	2383	3362	5856	
	1551		759	2401	3508	6511	
	1945		770	2480	3718	6578	
	2092		984	2632	3807	7099	

500 მანათად ღირებული:

ვადიანი. 36 წ. 4 თ.	უვადონი.				
62	20	127	1380	2045	4120
209	24	313	1580	2101	4314
694	34	333	1619	2673	4567
706	58	390	1635	2907	4786
746	125	843	1928	3336	4836
878	126	1291	2037	3514	4854

1000 მანათად ღირებული:

ვადიანი. 36 წ. 4 თ.	უვადონი.				
886	291	2205	5920	10928	14093
932	629	2458	5921	10929	14332
	630	2820	5930	11531	14444
	1059	2950	5969	11716	15094
	1202	3596	6003	11939	15194
	1250	3613	6035	11996	16310
	1374	3673	6268	12037	16581
	1598	4016	7098	12145	16582
	1599	4272	7553	12260	16583
	1609	4627	8097	12261	
	1610	5439	8283	12265	
	1611	5583	9238	12445	
	2202	5593	10231	13498	
	2204	5919	10927	13654	

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისათვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად
და სხვადასხვა ლექსები და პოემები დ. გაბრუაშვილისა ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—5)

!! Остерегайтесь поддѣлокъ!!
ГИГІЕНИЧЕСКОЕ
Борно-Тимоловое Мыло
ПРОВИЗОРА
Г. Ф. Юргенсъ.
Уничтожаетъ веснушки, загаръ, желтыя пятна, прыщи, угри и дѣйствуетъ противъ излишней потливости и дезодорирующее. Рекомендуется, какъ благовонное туалетное мыло высшаго достоинства. Золотая медаль, Лондонъ 1893 г.
Цѣна за кусокъ 50 коп., ½ кус. 30 коп.
Продается во всѣхъ лучшихъ аптекахъ, аптекарскихъ и парфюмерныхъ магазинахъ.
Главный складъ для всей Россіи Г. Ф. Юргенсъ, въ Москвѣ. (19—მტც.—)

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი
უცხო სიტყვათა ლექსიკონი,
შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 іюня 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.